# დროშა

№ 1—2
1935

1935



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

# დროშა

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველდღე 12-3 საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 8.

№ 1—2 ტფილისი გაზ. „კომუნისტის" გამ-ბა 1935



25 იანვარს 14 ს. და 30 წუთზე, გულის სკლეროზისაგან გარდაიცვალა ს.ს.რ. კ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევი.

„კომუნისტის" ესკადრილია გაფრენის წინ.



# გამარჯვებათა მწვერვალებისკენ

დამთავრდა დიდი სოციალისტური გამარჯვებათა მორიგი წელი. 1934 წელი პროლეტარული დიქტატურის ისტორიის მატიანეში შევა როგორც ბოლშევიკური, მაღალი საფეხურის დიდი მწვერვალების დაპყრობის წელი. არა მარტო სამეურნეო და ბოლშევიკური მიღწევების წელი, არამედ ფრიად ღირსშესანიშნავი სოციალისტური კულტურის შემდგომ განმტკიცებისა და გამაგრებისათვის.

10 მილიონი ტონა ლითონი, 19 მილიონი ტონა ნავთი, 50 მილიონი ტონა ქვანახშირი აი გამარჯვებათა ნათელი გამოხატულება. ჩვენი დიადი სამშობლოს გამარჯვებული წინსვლელობაში საბჭოთა ა.-კავკასია და საქართველო, სწრაფი ნაბიჯით მიიმართებოდა წინ სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად. ეხლა ხან დამთავრებულმა ამიერ - კავკასიის და საქართველოს საბჭოების ყრილობებმა ჯამი გაუკეთეს ჩვენი სოციალისტური აყვავებულ ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვებებს.

ჩვენ შეგვძლია გამტკიცებული, ხმამაღალი სიტყვით გვეთქვა ყველასათვის, რომ წლებით მომდინარე ჩამორჩენა თითქმის ლიკვიდირებულია, რომ დიდი **სტალინის** ერთ ერთი საუკეთესო თანამებრძოლის ამხ. ლ. **ბერიას** ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკებმა პირნათლად შეასრულეს პარტიის და სახელმწიფოს ყველა დავალებანი.

საბჭოთა საქართველო იქცევა საბჭოთა კავშირის ნამდვილ მარგალიტად, რომანოვების რუსეთის ყოფილი კოლონია გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად. ჩვენ ვიზრდებით, ვითარდებით წინ მივდივართ და არ არის ძალა მსოფლიოში რომელსაც შეეძლოს წინ აღუდგეს სოციალისტურად აღორძინებულ ქვეყნის წინსვლელობას.

საქართველოს საბჭოების მე-7 ყრილობა ეს იყო აშკარა მანიფესტაცია ჩვენი მუშათა კლასის კოლმეურნე გლეხობის და მშრომელი ინტელიგენციის ერთსულოვნებისა. ყრილობის ტრიბუნიდან პარტიას და მის დიდ **ბელადს** ერთგულებას აღუთქვამდნენ მუშა, კოლმეურნე გლეხი, ექიმი; მწერალი; მოქანდაკე·

დიდმა საბჭოებმა განსაცვიფრებელ გამარჯვებებს მიაღწია არა მარტო თავის შინაგანი მდგომარეობის განმტკიცების საქმეში არამედ საგარეო პოლიტიკის ფრონტზე ჩვენ მსოფლიოში გადავიქეცით უძლევ ძალად რომელსაც არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს მოსისხლე მტერმაც.

ჩვენი ქვეყნის შინაგანი და საგარეო მდგომარეობის განმტკიცებით, განმტკიცდა მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის საქმე. გასული წელი კაპიტალისტურ ქვეყნაში აშკარა მანიფესტაცია იყო იმისა, რომ კაპიტალიზმის წინაალმდეგ ბრძოლის იდეია უფრო მტკიცდება და ღვივდება პროლეტარიატის შეგნებაში. გადამწყვეტი ბრძოლის მოახლოების პირველმა ქვემეხმა ძლიერი ყუმბარით დაიგრიალა ასტურიის მთებში, ვენისა და ოვიედოს ქარხნებზე.

ჩვენი ქვეყნის ყოველი ახალი გამარჯვება ზურგს უმაგრებს კაპიტალიზმის წინაალმდეგ გმირულად მებრძოლ მსოფლიო პროლეტარიატს. ჩვენ უკვე გადავედით მეორე ხუთწლედის მესამე წელში. მიღწევები ბევრი გვაქვს მაგრამ წინამდგომი ამოცანები უამრავია როგორც აღნიშნა **ბელადმა** მეტალურგებთან საუბარში, ჩვენ შევძელით ახალი ტექნიკის შექმნა, ჩვენ შევძელით კადრების გამოზრდა, რომელნიც მოწინავე ტექნიკას. ეუფლებიან. „საქმე ეხლა ადამიანებშია, რომლებიც დაიუფლებენ ტექნიკას" **ბელადის** ამ სიტყვებში მოცემულია ჩვენი

ბრძოლის, ცხოვრების მოქმედების დროშა. ზრუნვა ადამიანზე, ზრუნვა იმგვარი, როგორსაც უწევს საყვარელ ნარგავს მებაღე, აი რით უნდა განისაზღვროს ჩვენი მოქმედების ასპარეზი. სოციალიზმი ეს არის უაღრესი ზრუნველობა ადამიანზე. სოციალიზმს ჩვენ ვაშენებთ, ვინაიდან გამოვდივართ ადამიანის უმაღლეს ინტერესებიდან. მშრომელი ადამიანის ინტერესები მოითხოვდა, რომ პირველი ხუთწლედში მეორე ხუთწლედის პირველ წლებში, ჩვენ მთელი ყურადღება მიგვეპყრო ტექნიკის განვითარებისათვის. რადგანაც რეკონსტრუქციის პერიოდში ტექნიკა სწყვეტს ყველაფერს. და ტექნიკის განვითარება ნიშნავს არა მშროლი, მანქანა იარაღების და ფაბრიკა ქარხნების მშენებლობას, არამედ იმ კადრების აღზრდას, რომლებიც დაეუფლებიან ამ ახალ ტექნიკას. ზრუნვა ახალ ადამიანზე, რომელიც დაეუფლა ახალ სოციალისტურ ტექნიკას ეს არის ჩვენი გადაუდებელი ამოცანა, ამ ნიშნის ქვეშ წავა ახალი წელი ეს იქნება სოციალისტური შეტევის წელი ყველა ფრონტებზე. ხარისხისათვის ბრძოლის წელი. ეს შეეხება არა მარტო სოციალისტური მატერიალური კულტურის სხვადასხვა დარგებს, არამედ სულიერი შემოქმედების ყოველგვარ გამოვლინებას.

1934 წელი, ჩვენი ქვეყნის ნათელი ბრწყინვალე გამარჯვებების წელი, ჩვენს შეგნებაში თან ატარებს უდიდეს მწუხარების ნიშანს. ამ წელს ჩვენ დავკარგეთ საყვარელი მირონიჩი. **კიროვი** მოგვიკლეს გადაგვარებულმა გაფაშისტებულმა ზინოვიევის კონტრ-რევოლუციურ ჯგუფის თეთრ-გვარდიელებმა. მტრების შემოტევას ჩვენ სასტიკი კონტრ-შეტევით უპასუხებთ. მტერი რომელიც არ ნებდება უნდა განადგურდეს და ჩვენ გავანადგურებთ მას. განაჩენს, რომელიც გამოუტანა პროლეტარულმა სამჯავრომ მკვლელობის ორგანიზატორებს და მათ იდეურ შთამაგონებლებს ერთხმათ მიემხრო არა მარტო ჩვენი ქვეყნის მშრომელები, არამედ მთელი მსოფლიოს მოწინავე ნაწილი.

მტერი გაშმაგებით გვებრძვის! ბრძოლა მიდის და ვინც ბრძოლის ველზე სიფხიზლეს შეასუსტებს ვინც მოინდომებს ცოტათიდენ შესვენებას ის დამარცხდება.

ჩვენ ვიბრძვით დაჭიმული ნებისყოფით ფხიზელი შეგნებით და გასამკეცებული სიფხიზლით, ღრმა რწმენით, რომ გავიმარჯვებთ რადგან კვლავ წინ მიგვიძღვის, სოციალისტურ გამარჯვებათა ბრწყინვალე ორგანიზატორი — დიდი ბრძენი — **ჩვენი სტალინი.**



**ლენინი და სტალინი გორკაში**



**ლენინი ქოხში.** ლენინის უკანასკნელი არალეგალური ცხოვრება, ოქტომბრის რევოლუციის დროს 1917 წ. სადგურ სესტრორეცკის მახლობლად.




# თვითმფრინავები

**დიტო ლომთაძე**

29 იანვარს საღამოს 5 საათსა და 50 წ. ტფილისის აეროდრომზე დაეშვა. გაზეთ „კომუნისტის" საჰაერო ესკადრილიის რგოლი „პ—5".

თვითმფრინავები გამოფრინდენ მოსკოვიდან 21 იანვარს და დაფარეს მთელი გზა 12 საფრენ საათის განმავლობაში. ესკადრილია აშენებულია გაზ. „კომუნისტის" მიერ მკითხველთა შორის შეკრებილი თანხებით.

ავიაციის ისტორიაში პირველად ხდება. თვითმფრინავების რგოლის გადაფრენა კავკასიონის ქედზე ზამთრის პირობებში. ესკადრილიასმეთაურობდა სამოქალაქო ავიაციის ერთ-ერთი საუკეთესო მფრინავი **ამხ. პანკოტაძე**, დანარჩენ თვითმფრინავებს მართავდენ ორდენოსანი მფრინავები ამხ. ამხ. **ლევჩენკო და იანიშევსკი.**

ეს ბრწყინვალე გადაფრენა გადაღებული იქნა „სოიუზკინოქრონიკისათვის. გადაფრენაში მონაწილეობას იღებდა გაზ. „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი ამხ **დ. ლომთაძე**, რომლის შთაბეჭდილებებს აქვე ვათავსებთ.

სუსხიანმა არქტიკამ, თითქო სამხრეთისაკენ გადაინაცვლაო. ქარი, ნისლი და ყინვა გამეფებულიყო დიდი წითელი დედაქალაქის—მოსკოვის ქუჩებში და მიდამოებში. მოსკოვის ცენტრალური აეროპორტის რადიოს დღეში სამჯერ მოჰქონდა ამბავი ჩვენი პოლიარული რადიო სადგურებიდან:

— ვაიგაჩისაკენ გზა გახსნილია, უელენში ტემპერატურა ნულს უახლოვდება, პოლიუსისაკენ თბილი ციკლონი დაიძრაო, იუწყებოდენ რადიოთი.

მოსკოვში კი ამ დროს ამზადებდენ თვითმფრინავს კუნძულ ვაიგაჩისაკენ გასაფრენად. ემზადებოდა პილოტი **ფარიხი.** მის მარშრუტში შედიოდა ისეთი პუნქტები, როგორიცაა იუგორის ყური, ვარნეკი, ახლად დასახლებული არქტიკული სოფელი" ხაბაროვო და სხ. ამინდი ხელს უწყობდა ამხ. **ფარიხს** და იგი ხალისით ელოდა საგზურის მიღებას, რომ არქტიკისაკენ გაექანებია შესანიშნავი „პ—5„-ის ფრთები.

ტფილისისაკენ ამ დროს საჰაერო გზა დახურული იყო. ხარკოვიდან, როსტოვიდან, მინერალნიე ვოდიდან და ბაქოდან რადიოს არასასიამოვნო ამბები მოჰქონდა.

— ორიოლისკენ ქარიშხალი და ნისლია, ხარკოვში თოვს, დონის როსტოვში სქელი ნისლი დგას; ჩრდილოეთ კავკასიაში ციკლონი მძვინვარებს, ბაქოს ხაზი დახურულია. მოსკოვის აეროპორტის ამინდის ბიუროში თანაგრძნობით გვაწვდიდენ ცნობებს ამინდის მდგომარეობის შესახებ და თან დასძენდენ, რომ ახლა სამხრეთისაკენ გაფრენა უფრო ძნელია, ვიდრე ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ ახლო ხანში არქტიკული ამინდი ალბათ ისევ არქტიკაში დაბრუნდება და თქვენი ესკადრილია შეიძლებს ხარკოვისაკენ „გაძრომასო", სინოპტიკების წინასწარმეტყველებით შუათებერვლამდე რუსეთის ველებიდან ნისლი მთლიანად არ გაქრებოდა.

კუნძულ ვაიგაჩზე გაფრენილმა პილოტმა ფარიხმა ჩვენ მოსკოვში მიგვატოვა. აეროპორტზე ჩამწკრივებულ მრავალ სხვადასხვა სამგზავრო თვითმფრინავებიდან ოდნავ გამოყოფით ჩამწკრივებიათ „კომუნისტის" ესკადრილიის პირველი რგოლის თვითმფრინავები. ყოველ დილაობით მართავდენ ამ თვითმფრინავებს, რომ ხელსაყრელი შემთხვევისას მზად იყვნენ ჰაერში ასასვლელად. ყოველ დილას მოდიოდენ ჩვენს გასაცილებლად მოსკოველი ჟურნალისტები, ნაცნობები, მეგობრები, მაგრამ „ამინდით" ნაწყენი ისევ უკან ბრუნდებოდენ.

21 იანვარს დილით ადრე გაგვაღვიძეს, მოვემზადეთ, მგონი გავიშვებთო, გვითხრა ჰაეროპორტის მო-

რიგემ. ჩავიცვით, დავიხურეთ, გავამზადეთ ნივთები. ჩქარა ჩვენი თვითმფრინავები თავს დასტრიალებდენ გიგანტი—ქალაქს...

მატარებლით რუსეთში მოგზაურობა მოსაწყენია მგზავრებისათვის. თვალუწვდენი ველები, ერთი მეორეს მსგავსი სადგურები, სოფლები და ქალაქები. თუ ზაფხულია, არაუშავს: დილით ამოგორდება უშველებელი მზე. გადაბობღდება ხოლმე იგი ზენიტზე და მიიწურება დასავლეთისკენ. დღეს, ხვალ, ზეგ, ყოველდღე ერთიდაიმავე სურათს ხედავს მგზავრი. არაა აქ ისეთი კონტრასტები და სხვადასხვაობა, როგორც მაგალითად კავკასიაში.

თვითმფრინავიდან რუსეთი სხვანაირად გამოიყურება. პეიზაჟი არ ღლის თვალს, პირიქით ახალისებს, ახალ ახალი შთაბეჭდილებები კინოკადრებივით იცვლებიან. რკინის გზის ხაზების ქსელი, ტყეები. სადაც ნაძვისა და ფიჭვის ხეები შობილი რაინდებივით დგანან, დიდი და პატარა მდინარეები, რომლებიც ახლა ყინვით დაფარულნი სარკესავით ბრწყინავენ. ქარხნები დიდი საკვამლე მილებით, ახლად დაგეგმილი სოფლები და ქარხები, ყველაფერი ის რასაც მატარებლის ფანჯრიდან ვერ ხედავს მგზავრი.

თვითმფრინავები სწრაფად სჭრიან მანძილს. გეოგრაფია ქედს იხრის ავიაციის წინაში და მუხლების მომქანცავი კილომეტრები ფრინველზედ ეფინებიან საბჭოთა არწივების ფრთებს. მოვფრინავთ სამი თვითმფრინავით. საკვირველია, როდესაც თვითმფრინავში ზიხარ და შენს გვერდით სხვა თვითმფრინავებიც მოდიან ისე გგონია, თითქო, ერთიდაიმავე სიმაღლით მიფრინავ და სხვები ხან ძირს უფსკრულისაკენ ვარდებიან და ხან მაღლა მზისკენ აცურდებიანო. ამას ავიო მირაჟს ეძახიან.

მოსკოვიდან ხარკოვამდე ჰაერით 700 კილომეტრზე მეტი მანძილია. ჩვენ ეს მანძილი უნდა გაგვევლო 4 საათში. ქალ. ორიოლი შუაგზაა. ორიოლამდი თვითმფრინავები ნორმალური სისწრაფით მოდიოდნენ და მოსკოვიდან მოწყვეტილები ორი საათის შემდეგ უკვე ორიოლის აეროდრომს დავცქეროდით. მოგვცეს ნიშანი, რომ შეგვეძლო ორიოლში დაუშვებლათ გზის გაგრძელება. წინამძღოლმა თვითმფრინავმა, რომელსაც ჩვენებური პილოტი **შალიკო ჭანკოტაძე** მართავდა კურსი ოდნავ სამხრეთისაკენ აიღო. გვერდით და რამოდენიმე მეტრის ჩამორჩენით მას მიჰყვებოდა დანარჩენი ორი თვითმფრინავი, რადაც ხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ტაროსმა ხაფანგში გაგვაბა".

რის იმედი უნდა გქონდეს კაცს მაშინ, როდესაც თვითმფრინავში ხარ და შენი თვითმფრინავი სტიქიონის თავშესაქცევ სათამაშოდ იქცევა? ორი იმედი ასულდგმულებს მაშინ თვითმფრინავით მოგზაურს: პილოტის გამძლეობა. მისი ალღოიანობა და მოტორის სიმტკიცე. თუ პილოტი დაიბნა, თუ იგი ვერ გაერკვა შექმნილ მდგომარეობაში—თვითმფრინავი ერთხანს იბერტიალებს ჰაერში, შემდეგ გამოელევა მას საწვავი მასალა და იძულებული იქნება ძირს დაეშვას. ასეთ მდგომარეობაში უბედურება მოსალოდნელია. მაგრამ იგი აუცილებელი არაა, ასეთ შემთხვევაზე ავიატორები იტყვიან — თვითმფრინავი იძულებით დაეშვაო. მაგრამ მარტო პილოტზედაც არაა ყველაფერი დამოკიდებული. თუ მოტორი მირყეულობს, თუ იგი ლაზათიანად არ მუშაობს, იძულებითი დაშვების მოსალოდნელობა უფრო მოახლოებული იქნება.

თვითმფრინავს ის უპირატესობა აქვს სხვა სატრანსპორტო საშუალებებთან, რომ უბედური შემთხვევებისაგან იგი უფრო დაზღვეულია. თუ კარგი ამინდია, თვითმფრინავის იძულებითი დაშვება უდრის ავტომობილის შეჩერებას ცუდ გზაზე. ძალიან იშვიათი შემთხვევაა, რომ იძულებითი დაშვებისას თვითმფრინავზე მჯდომმა რაიმე იტკინოს. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლოა მხოლოდ თვითმფრინავი დაზიანდეს, მაგრამ ახლა ჩვენში ისეთი კონსტრუქციის თვითმფრინავებს უშვებენ, რომ ისინი ამ მხრივაც დაზღვეული არიან. ერთადერთი საფრთხე, რომელსაც უსათუოდ კატასტროფა მოჰყვება ეს ცეცხლია.

ორიოლიდან გამოსულებს მიწის ორიენტირი დაგვეკარგა. ნისლი ბოლივით გამდგარიყო თვალუწვდენ ველებზე. მიწის ზედაპირზე კი ქარი ბზუოდა. არ სჩანს ორიენტირები და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიცით რა მიმართულებით მივდივართ, როდესაც თავიდანვე პილოტი ორიენტირებით მიფრინავს და თვითმფრინავის ყიბლანს არ უყურებს. შემდეგ ყიბლანი მას ველად მისცემს მიმართულებას, მაგრამ მარტო ყიბლანიც არ კმარა მიმართულების ზუსტად ამორჩევისათვის. საამისოდ სხვა ხელსაწყოებიცაა საჭირო და ეს სხვა ხელსაწყოები კი ჩვენ არ გვქონდა. საჭირო იყო დაბლა მიწის ზედაპირის მახლობლად ფრენა. დავეშვით მიწისკენ და ვნახეთ, რომ სიმაღლე არ გვყოფნიდა. მიწის დანახვა შეიძლებოდა მხოლოდ 40—50 მეტრის სიმაღლიდან. ასე ფრენა კი არ შეიძლება, რადგან მოსალოდნელია თვითმფრინავი დაეჯახოს ხეს, ან ქარხნის მილს და სხ. ვცადეთ ღრუბლების გარღვევა და უფრო მაღლა ასვლა, არც ეს გახდა შესაძლებელი. რადგან ღრუბლების ზოლი მეტად სქელი აღმოჩნდა. ისევ ნორმალური სიმაღლე, ისევ „ბრმად" ფრენა...

ვიყურებით ყველანი ძირს, ვეძებთ რაიმე ნიშანს, მაგრამ ამაოდ: უკვე გავლო საკონტროლო დრომ. 4 საათია ჩვენ ჰაერში ვართ და ხარკოვი არ სჩანს. კიდევ წუთები. კიდევ ნერვიული დაძაბულობა, კიდევ ნისლი და ქარი... მე ჩვენი პილოტების იმედი მაქვს, გულს არ ვიტეხ, ვფიქრობ, უკიდურეს შემთხვევაში სოფელს ვიპოვნით სადმე დავეშვებით და ამასაც არაუშავს რა, ჩემი თვითმფრინავის მმართავი ორდენიანი პილოტი—**ალიოშა იანიშევსკი** მანიშნებს—თვითმფრინავებს შეუძლიათ კიდევ დიდხანს დაჰყონ ჰაერშიო, მოტორი ასე მუშაობსო და მაღლა აწეული ცერი მიჩვენა.

0000



გაზ. „კომუნისტის" სტამბის დამკვრელი მუშა ლ. ვადაჭკორია გაფრენის წინ. მფრინავი ა. იანიშევსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაზ. „კომუნისტის" თანამშრომლები: ამხ. ამხ. შ. მანჯავიძე თავისი ბავშვით ზურაბით, კარიჭაშვილი, ბიაშვილი, ცოტაძე ქ. დარიბოვი, ნათიშვილი და სხ. ათვალიერებენ „კომუნისტის" თვითფრინავს.

ooooooo

წინამძღოლი თვითმფრინავიდან ჰანკოტაძემ ნიშანი მოგვცა:

— ყურადღება მომაქციეთ!

ყველანი წინამძღოლ **თვითმფრინავს** მივჩერებივართ და მას მივახლოვდით. წინამძღოლმა 5 წუთის შემდეგ ნიშანი მოგვცა:

— მომყევით!

თვითმფრინავები ახლა წეროებივით დაეწყვენ. ჩვენ მივყვებით წინამძღოლს, ხოლო ჩვენ მოგვყვება მესამე, უკანა თვითმფრინავი. გამოჩნდა ხარკოვის დიდი სატრაქტორო ქარხნის ღუმელის მაღალი საკვამლე მილი. ძლივს-ძლივობით სჩანს ქალაქის კონტური...

დავეშვით ხარკოვის აეროდრომზე. ქრის ქარი, თოვს და ნამქერი საშუალებას არ გვაძლევს სათვალეები მოვიხსნათ. ჩვენსკენ გამოსწრის დამხვედრებმა. მოდიან ისინი ჩვენსკენ და ჩვენ მათკენ, მაგრამ ბარბაცით. ასეთ ქარში სიარულიც ძნელდება. უკრაინელები ჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობით გვხვდებიან [illegible] ხარკოვის აერო-**ვაგზალის მშვენიერად** მორთულ დარბაზში. აქ გავიცანით ერთი მეორის. მოსულიყვნენ უკრაინის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანოს „კომუნისტის" წარმომადგენლები, ხარკოვის გაზეთების თანამშრომლები, უკრაინის კინო-ქრონიკის **ოპერატორები და** მრავალი სხვები...

ავტომობილებმა ჩვენ მიგვიყვანეს თბილ და სუფთა ოთახებთან, დავისვენეთ, დავიძინეთ, მეორე დღეს გზა უნდა გაგვეგრძელებია როსტოვისაკენ, მაგრამ გამოირკვა, რომ ამინდი ამის საშუალებას არ გვაძლევდა, განმეორდებოდა გუშინდელი ამბავი, ვიცადეთ 22, 23 და 24 იანვარს. 25 იანვრისათვის ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა გაფრენილიყავით, როგორიც ამინდიც არ უნდა ყოფილიყო. ხარკოვის აეროპორტზე ჩვენს წინსვლას გადაჭრით ეწინააღმდეგებოდენ, მაგრამ გველსაც ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი" და ხარკოველები დაგვეთანხმენ ჩვენს გასტუმრებაზე. ამინდის გაუმჯობესების ნიშნები იტყობოდა.

ესკადრილიის რგოლი მოფრინავდა დონბასზე. აქ კაცი მძაფრად გრძნობს ინდუსტრიალურ მაჯისცემას, რკინის გზის ქსელი შავი ბადისავით გადაფარებია თოვლით დაფარულ ტრიალებს, გიგანტი—ქარხნები, ქარხნები და ქარხნები. შორიდანვე ამჩნევ რომ აი იქ, დგას სქელ ნისლი, ეს იმის ნიშანია რომ ნისლის ძირს, მეტალურგიის რომელიმე გიგანტი იქნება და საქარხნე მილებიდან ნადენი ბოლი ხელოვნურ ნისლით იგუბებულა ყინვის არტახებში ჩაჭედილ ჰაერში.

კარგი სანახავი ყოფილა გაყინული ზღვა. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქო უზარმაზარი სარკე **დაუ**დევთ ძირს, რომ კონტროლი გაუწიონ ცას. აზოვის ზღვა და განსაკუთრებით ტაგანროგის ყურე ისე იყინება, რომ საჭაპნე ტრანსპორტს იმედიანად შეუძლია მასზე მოძრაობა. წყალბარაქიანი დონიც გაყინულა და მისი კალაპოტი შესანიშნავ გზატკეცილს გავს. გემები კი შებოჭილებაში წასულიზივით მყუდრო ადგილებში ჩამწკრივებულან და ყინვით და თოვლით შეფერცხლილნი ბრწყინავენ მზის სხივებზე.

ჩვენი ინდუსტრიალური სიამაყეები—კრემატორსკი და მისი სხვა დონბასელი ძმობილები უკან ჩამოვიტოვეთ. დონის როსტოვს, აზოვ-შავი ზღვის მხარის ცენტრს, დასავლეთიდან მივუახლოვდით. როსტოვის აეროდრომიდან ქალაქში ღამის გასათევად წასულებმა გავიგეთ სამწუხარო ამბავი ამხ. **ვ. კუიბიშევის** გარდაცვალების შესახებ. ცნობის მიღებისთანავე მთელი ქალაქი სამგლოვიარო თირებში გაეხვია. სამგლოვიარო ელფერს ამინდი ხაზგასმით აღნიშნავდა—თოვდა, ქროდა სუსტი ქარი და ელექტრონს [illegible] დაკარგვოდა.

მეორე დღის, 26 იანვარს ჩვენი თვითმფრინავები არმავირისაკენ მიქროდენ. შემხვედრი ქარი არასასიამოვნოდ გვარწიოდა და მზიან ამინდში ღრუბლები ხშირად გზას გვი-

ღობავდა. ნაშუადღევის 4 საათზე არმავირში ვიყავით. აქ თვითმფრინავებისათვის თხილამურები ბორბლებით უნდა შეგვეცვალა. ვისაც არ უნახავს რას ნიშნავს ქარში და აუტანელ სიცივეში თვითმფრინავისათვის თხილამურების ბორბლებით გამოცვლა, მას ეს იოლ საქმედ მოეჩვენება. 4 საათის განმავლობაში გადაფრენის მონაწილენი ამ საქმეზე ვმუშაობდით. ისედაც დაღლილნი და უძილები საშინლად დავიქანცეთ. არქტიკულ ტანისამოსში გამოწყობილები ოფლში ვიხარშებოდით, ძნელი ყოფილა თბილ კომბინეზონში ჩაცმული მუშაობა, იღლები, ოფლი გდის და კომბინიზონი კი ჰაერს არ ატარებს, რომ ოფლი შეაშროს, ან ჰაერის ცირკულაციამ ორგანიზმი გაახალისოს. მეორე დღეს, ამინდი გაუარესდა. ქროდა ძლიერი ქარიშხალი, ხოლო ტრასაზე გაუვალი ნისლი გაგუბებულიყო.

27 იანვარს არმავირში დავრჩით.

28 იანვარს დილით საავრალო ხმამ გაგვაღვიძა.

— ადექით, სამუშაოსათვის!

დიდი და პატარა ყველანი იმ ადგილისაკენ გაემართნენ, სადაც წუხელ ჩვენი თვითმფრინავები დავსტოვეთ. ქარიშხალს თვითმფრინავებთან დაუგროვებია თოვლის ზვინები და ისე ჩაეფლო ჩვენი ფოლადის ფრინველები, რომ მათ მხოლოდ ზევითა ფრთები მოუჩანდათ. გადავთოვლეთ, გამოვიყვანეთ თვითმფრინავები თოვლის ნამქერიდან.

არმავირიდან ჩვენი თვითმფრინავების რგოლი გაიცილა ქარბუქმა და ნისლმა. ზოგჯერ წყდება ნისლის ზოლი, ჩვენ ვხედავთ ყუბანის ნოყიერ ველებს, რომლებიც სამხრეთისაკენ თვალწარმტაც კავკასიონს დაუმშვენებია. უფრო ხშირად თვითმფრინავები ღრუბლებს ზევით არიან აქ წყნარი და მზიანი ამინდია. მზის სხივები სათითაოდ ათბობენ ქარითა და ყინვით დამწვარ სახეს.

შორს გამოჩნდა იალბუზი. გოლიათივით დამდგარა იგი სახელგანთქმულ მთაგრეხილზე, თითქოს მახარობელივით გვაუწყებს — ქედი ღიაა, გადაფრინდით საქართველოში, ნუ გეშინიათ.

პიატიგორსკისა და კურსავკის მიდამოებიდან იალბუზი ისე ჩანს, თითქოს ახლოს, სულ რამოდენიმე კილომეტრით იყოს იგი დაშორებული ჩვენი თვითმფრინავებიდან. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ას კილომეტრზე მეტი მანძილი გვყოფს მისგან.

წინამძღოლმა თვითმფრინავმა გახვრიტა ღრუბლების სქელი ზოლი



OOOO

და შხუილით გაემართა ძირს მიწისაკენ. მას დანარჩენი ორი თვითმფრინავიც მიყვება. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქო, თვითმფრინავი ერთ ადგილზე გაქვავდა და ხრახნისებურად ძირს ეშვებაო. იანუშევსკიმ შემდეგ ამიხსნა, რომ ერთ ადგილს კი არა დიდ წრეს ვაკეთებდით, მაგრამ ღრუბლის თეთრ ჭელაში ჯახეცულს ასე ეჩვენებაო.

მინერალნიე ვოდიდან ტფილისამდე ჩვენმა თვითმფრინავებმა მანძილი 1 საათსა და 50 წუთში დაფარეს. მინერალნიე ვოდის მიდამოები კვლავ სქელ ღრუბლებს ჰქონდათ დაკავებული. სამი თვითმფრინავი შეიჭრა ამ ღრუბლებში, გახვრიტა მისი სქელი ზოლი და ჩვენ კვლავ მზეზე გავედით.

აქედან უკვე მოსჩანდა კავკასიონის მეორე გოლიათი, ულამაზესი მყინვარი—ყაზბეგი. თვითმფრინავებმა სწორედ მისკენ აიღეს კურსი.

საბჭოთა პილოტებს ბევრი კარგი თვისებები აქვთ. პირველი მათი თვისებაა სიკვდილთან გულგრილად მისვლა და მისი დამარცხება, მეორე თვისებაა—თავდაბლობა, მესამე, მეოთხე, მაგრამ განა საჭიროა ამ საკითხზე შეჩერება.

**შ. ჭანკვეტაძეს**, რომ კითხოთ გიპასუხებთ:—მერე რაო კავკასიონზე გადაფრენით ზამთარში სამი თვითმფრინავი ერთად, მართალია, მანამდე ვერ ვხედავდით ყაზბეგამდე, ისიც მართალია, რომ ასეთი გადაფრენა ზამთარში პირველად ჩვენ მოვახდინეთ და საჭირო იყო ჩვენს მხრივ დიდი სიფრთხილის და გულგრილობის გამოჩენაო, მაგრამ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირს ამბად მას ყველაფერი ეს მაინც არ მიაჩნია.

კავკასიონის ქედზე ფრენა სიძნელეს წარმოადგენს იმიტომ რომ აქ არაა შესწავლილი ჰაერის ნაკადთა მოძრაობა. ზაფხულობით თუ ეს ნაკადები ერთნაირად მოძრაობენ, შესაძლოა, ზამთრობით მათი მოძრაობის ხასიათი რადიკალურად იცვლებოდეს.

თვითმფრინავი, როცა ჰაერის ნაკადში ჩავარდება, კარგავს საკუთარი თავის ფლობის უნარს, ამიტომ ხდება, რომ ზოგჯერ ეს ნაკადი თვითმფრინავს გაიტაცებს რამოდენიმე ათეულ მეტრზე და თუ პილოტმა სასწრაფოდ არ დააღწია თავი ნაკადის ფარგლებიდან იგი შესაძლებელია დაეჯახოს კლდეს, ხეს ან სხვა რამეს და დაიღუპოს. ასეთი ნაკადები ხვდება თვითმფრინავს სურამის ქედზეც, მაგრამ ამ ქედზე პილოტებს საჰაერო გზათ ამორჩეული აქვთ ისეთი მიმართულება, რომ ნაკადებს არ ხვდებიან.

კავკასიონის ქედზე ნაკადების რკალში მოქცევას ჩვენ აუცილებლად მოველოდით. მივიწევდით ყაზბეგისაკენ და რამდენადაც უახლოვდებოდით მას იმდენად კარგავდა ეს მყინვარი თავის გოროზულ გარეგნობას. მივფრინავთ და ქვევით მიწა არ ჩანს. აი, აქ იყო საჭირო საკუთარი სიცოცხლისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოჩენა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ამჟამად წყალტუბოში ისვენებს ამერიკელი ჟურნალისტი ᲓᲘᲣᲠᲐᲜᲢᲘ, რომელიც შარშან მიიღო ამხ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ და ჰქონდ მასთან საუბარი. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ამერიკელი ჟურნალისტი დიურანტი თავისი მემანქანით წყალტუბოში.

ვინ იცის, რამდენ მწვერვალს ფარავდა მზაკვრულად ჩვენს ქვემოთ სქელი და თეთრი ღრუბლის ოკიანე. ალტიმეტრი აუჩქარებლი მიცოცავს ზევით, მიწის ზედაპირიდან ჩვენ სულ მაღლა და მაღლა მივდივართ.

აი, ყაზბეგიც!

ყაზბეგთან, როცა ახლოს ხარ მის გვერდით ათასი სხვა უცხო საშიში მწვერვალი გამოჩნდება ხოლმე. ახლოდან არცერთი არაა ყაზბეგზე ნაკლები, მაგრამ შორიდან ყაზბეგი ჩრდილავს ყველას.

გოლიათ მყინვარწვერს მხარდამხარ გავუსწორდით.

რა შესანიშნავია, თვალის გადავლება კავკასიონის მთაგრეხილისათვის. წარუშლელი და თვალწარმტაცი სურათი ჩარჩება მაყურებელს, ისე როგორც ტკბილი ბავშვობის გახსენება. უნდა დიდი მხატვარი, სალებავების დიდი ოსტატი სიტყვის ჯადოქარი, რომ მკითხველს გადასცე ეს განცდილი სილამაზე, ბუნების ველურობა, შემაძრწუნებელი უფსკრულების ცქერიდან მიღებული განცდები.

ჩვენი მთასვლელებისაგან ბევრი რამ ზღაპრული ამბავი მსმენია მყინვარის შესახებ. მქონდა დიდი სურვილი ამ მყინვარზე ასვლისა და რადგან ეს სურვილი დღემდე ვერ შევისრულე, გადავწყვიტე საფუძვლიანად დამეთვალიერებია მთელი მყინვარი. თვითმფრინავიდა მე მას მივაჩერდი სამი მხრიდან. ალბად, მარტოლა ძნელი იქნება მის წვერზე ფეხით ასვლა.

მყინვარ წვერიდან რომ თვალი ძირს დაუშვი, სანამ ბოლომდე ჩახვიდოდე თვალი დაიღლება. ფიქრობ, ალბად აი, ისე იმ მიმართულებით მიუძღვის ხოლმე იაგორა კაზალიკაშვილი ჩვენებურ ალპინისტებს, ალბად იქ ისვენებენ.

გადაიხედავ ძირს და სადღაც შორს, დაბლა, უფსკრულში მოსჩანს სოფ. ყაზბეგი, როცა ჩვენ ყაზბეგის გვერდით მოვფრინავდით, მყინვარწვერი განათებული იყო ჩამავალი მზით. შორიდან გეჩვენება, თითქო მყინვარწვერი წითლად იყოს განათებული, მიხვალ ახლოს და წითელი ფერი იცვლება ყვითელ ფერად. ძირს, თერგის ხეობა კი ჩრდილს მოუცავს და ჩრდილით მოცული ჩავარდნილი ხეობა შავათ იცქირება ქვემოდან.

ყაზბეგიდან როცა ძირს, ხეობისაკენ იყურები თვითმფრინავიდან უფსკრულს საკუთარი თვალით ხედავ. შესანიშნავი სანახაობაა. ჟრუანტელის მომგვრელი, მაგრამ მიმზიდველი.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ მცირე კავკასიონის თავზე მოვქროდით. მეჩვენა, რომ დავინახეთ ზაჰესში მაშინ აანთეს სინათლე. დავეშვით ტფილისის აეროპორტზე, დავბინავდით ავტობუსში ქალაქში წამოსასვლელად და კიდეც დაღამდა. ქალაქიდან ჩვენს შესახვედრათ წამოსულები გზაში შეგვხვდნენ. გადაფრენა დამთავრებული იყო ჩვენი ავიაციის ბრწყინვალე გამარჯვებით.

# ჩვენი სიმდიდრე

## მარიჯან

ჰე, გადახედეთ ჩვენს ბუნებას
რა მდიდარია!
მიწას გული აქვს მადნეულით
უხვი და სავსე,
ჩვენი ქვეყანა განა სხვებთან
შესადარია
ვინც მოვა მტრულად,
მას პასუხს გავცემთ!
საქართველოდან დაწყებული
დიდ ციმბირამდე
ინგრევა ძველი და შენდება
სულ სხვა ცხოვრება!
არც ერთი წუთი გაცდენილი!
ვინ მოსთვლის რამდენ
მიწის საუნჯეს, მუშის ხელი
ემახსოვრება.
შავი ნაბადი მოუხურავს
ჩვენ ჭიათურას
და შავ ხახიდან ჭარბად გვაწვდის
ქვასა და ფოლადს,
მთის ბილიკებზე გრძელ რიგებად
მშრომელთა ხელი
გამალებული ეზიდება
ამ უშრეტ დოვლათს.
ურალის მთები გვირაბებით
გადაქსელილი
დაჭრილ ძარღვიდან აბნევს რკინას
ვერცხლსა და ნახშირს.
ცად აზიდული, ატანილი



გლეხთა აჯანყება 1905 წ.

ooooooo

ქარხნების მილი
აუწყებს ყველას: „მშენებლობა
მოედო კავშირს!"
დიდრონ მთებს ვანგრევთ, გულს
ვუსინჯავთ
ჭაობებს ვაშრობთ,
ჰა, გადახედეთ, როგორ მისდევს
გექტარს გექტარი!
ყოველ კულტურულ მცენარეთა
მოყვანას ვასწრობთ
მზეს ეტანება ნარინჯების
ტკბილი ნექტარი.
ჩვენი ზაჰესი, ფრთა-ასხმული
ვის არა ხიბლავს,
ზაჰესი—ჩვენი ელვარება
და სიამაყე!
ათი ათასი ხილულ თვალით
დასცქერის ტფილისს
მშრომელთა უბნებს, ალამაზებს
და ავარაყებს.
ყველგან ქარხნები, სოცშეჯიბრი,
მხნე მუშაობა,
ყველა ჩაბმულა მოხუცი და
ახალთაობა,
ყველგან გაისმის გამარჯვებულთ
ეს შეძახილი:
„ხუთწლიან გეგმით ჩავცეთ გულში
ჩვენს მტრებს მახვილი".



9 იანვრის ეპიზოდი მოსკოვში

# მხატვარი შალვა ქნელაძე

(1892—1934)

უკვე ორი თვეა, რაც ახალგაზრდა მხატვარი შალვა ქნელაძე გარდაიცვალა. სამწუხაროდ მისი მხატვრული მემკვიდრეობა ჯერ არ არის საკმაოდ შეჯამებული და საბჭოთა მაყურებელს არ აქვს საშუალება თავისი მსჯავრი გამოიტანოს ამ მეტად საინტერესო მხატვრის შესახებ. მართლაც როგორც მხატვარი, შალვა ქნელაძე თავისებურია. იგი უმთავრესად ისტორიული ჟანრის მხატვარია. შალვა ქნელაძე 23 აპრილის ცნობილ დადგენილებამდე იგნორირებული იყო. დღეს, როდესაც საბჭოთა მხატვარს მიეცა სრული შესაძლებლობა მრავალნაირ ჟანრებზე მუშაობისა, შალვა ქნელაძის მხატვრობასაც მიეკუთვნება სათანადო ადგილი ქართულ საბჭოთა მხატვრობის ისტორიაში.

ისტორიულ ჟანრზე ძველად მრავალი მხატვარი მუშაობდა. ჩვენში ცნობილია გიგო გაბაშვილის და ალ. მრევლიშვილის ისტორიული ტილოები, მაგრამ შალვა ქნელაძის „ისტორიზმი" სრულიად განირჩევა ზემოხსენებულ მხატვრებისაგან. ქნელაძის „ისტორია" არავითარ ნაციონალისტური პატრიოტიკას არ წარმოადგენს, პირიქით თავის ისტორიულ ნახატებში ქნელაძე მეტად პროგრესიული მხატვარია. მისი მხატვრობის საგანია უმთავრესად „ჯანყი", რევოლუციონური გლეხობის აჯანყებები დაწყებული 1841 წლიდან, ვიდრე 1905 წლამდე. ტოპოგრაფიულად ესეც შემოფარგლული აქვს მხოლოდ საქართველოს ერთი კუთხით — გურიით. გარდა ამისა დამახასიათებელია შ. ქნელაძისათვის ის გარემოება, რომ იგი უმთავრესად გლეხური აჯანყებების პოეტია თემატიურად. აუარებელი ნახატები დაგვიტოვა განსვენებულმა ამ თემაზე, მართალია მეტად ნაკლები რიცხვია აქ დიდი ტილოებისა, ესკიზები უფრო სჭარბობს. მაგრამ ყველა მისი ნახატები ერთ მთლიან დიდ რევოლუციონურ ეპოპეას წარმოადგენენ. მოცემულია მთელი გალერეა რევოლუციონურ გლეხობისა, ყოველი სახე განირჩევა სხვა ესკიზის სახისაგან, ასეთი სიძლიერით აქვს მხატვარს გამოხატული თვითეული სახის ინდივიდუალობა. ნასაკირალის ბრძოლა, ოზურგეთის ბაზრობა, დამარცხებულნი, ესკიზები ბატონ-ყმობის ეპოქიდან, ყველა ეს ნახატები რევოლუციონური რომანტიზმის ნამდვილი ნიმუშებია. მაგრამ თემატიურად და განწყობილებით რომანტიკოსი, შალვა ქნელაძე ტექნიკით და მანერით რეალისტია. არამც თუ რევოლუციონური, არამედ მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლებიც კი მოკლებული არიან ყოველგვარ გროტესკულ და კარიკატურულ განსახიერებას. ხედავ ამ თავად-აზნაურული ტიპების გამოფენას და არ შეიძლება არ მოგაგონდეს ეგნატე ნინოშვილის გურიის ტიპები. ამიტომ არის, რომ ასე ეხერხებოდა განსვენებულს ნინოშვილის ნაწარმოებთა დასურათება. რაც უსათუოდ გრაფიკული ხელოვნების ერთერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს, და მართლაც შალვა ქნელაძე უფრო ძლიერია ხაზის, ვიდრე ფერების მხატვრობაში. თვით ფერად სურათებშიაც კი გრძნობთ კონტურის სიმახვილეს. მაგრამ ხაზის ხვეულები უსათუოდ ემსახურებიან შინაარსის უფრო მეტყველი და თანაც მარტივი გამოსახულებას. მიტომ არის, რომ შ. ქნელაძის მხატვრობა მოკლებულია ყოველგვარ ფორმალიზმს და „დეკადენტურობას".

სამწუხაროდ მოულოდნელმა სიკვდილმა არ დააცალა მხატვარს გადასულიყო ესკიზებიდან დიდ ტილოზე. ამიტომ მისი მხატვრული მემკვიდრეობა უფრო ესკიზურ ხასიათს ატარებს, მაგრამ ამ ნახატებს მაინც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ და მეტად სასურველი იქნებოდა, რომ საქ. საბჭოთა მხატვართა კავშირს მოეწყო ამ საინტერესო და თავისებური მხატვრის ქველა ნახატების გამოფენა, რათა ფართო მშრომელ მასებს მიეცეს საშუალება გაეცნონ ჩვენი მხატვრობის რევ. რომანტიზმის ერთერთ წარმომადგენელს.

**შ. ალხაზიშვილი.**



მხატვარ შ. ქნელაძის სურათი — ტარიელ მკლავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ. ხუნდაძე

# არსენა ჯორჯიაშვილი

არსენა ჯორჯიაშვილი სახალხო გმირ - რევოლუციონერის სახელწოდებით არის შესული განმათავისუფლებ... [illegible] ჯორჯიაშვილმა უსასტიკეს რეაქციის ერთ-ერთ სულის ჩამდგმელს, მუშათა უბნების აწიოკება - დარბევით და მუშების ხოცვა - ქლეტით სახელგანთქმულს და დამსჯელ ექსპედიციისათვის სამოქმედო გეგმის დამხელოვნებულ შემდგენს, გენერალ - ლეიტენანტ გრიაზნოვს ყოფილ ბარიატინსკის ქუჩაზე 1906 წლის 16 იანვარს დილით 11 საათზე ბომბით სიცოცხლე მოუსპო, რომელსაც ეს უკანასკნელი შავი საქმეების გასაკეთებლად საკუთარი ეტლით მიდიოდა მეფის მოადგილის თანაშემწე გენერალ მალამასთან.

16 იანვარს მთელმა ტფილისმა გაიგო, რომ ვიღაცამ ბომბის სროლით, მუშათა კლასის ჯალათი გრიაზნოვი ნაფლეთ - ნაფლეთებათ აქცია, მაგრამ, თუ როგორ მოეწყო ეს საქმე, ანდა ვინ იყო ამის ჩამდენი, ეს 18 იანვრამდე, გარდა უმნიშვნელო ვიწრო წრისა, ვერავინ გაიგო.

ამ მკვლელობის შესახებ პირველად გაზეთ „ცნობის ფურცელმა" 17 იანვარს მოათავსა შემდეგი ცნობა: — „გუშინ, 16 იანვარს, ბარიატინსკის ქუჩაზე, კავკასიის სამხედრო საინჟინერო დისტანციის სადგომის წინ, დილის მეთორთმეტე საათზე, ეტლში ყუმბარა ესროლეს კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსს გენერალ - ლეიტენანტს თეოდორე თედორესძე გრიაზნოვს და მოკლეს. გენერალი გრიაზნოვი თავის სადგომიდან გამოსულა, ეტლში ჩამჯდარა და გენერალ ი. დ. მალამასთან რაღაც საქმისთვის წასულა. როცა ეტლს მცირე მანძილი გაუვლია, სამხედრო - საინჟინერო დისტანციასთან ვიღაცას გადაუგდია ყუმბარა. როგორც დაჭრილმა მეეტლემ გადმოგვცა, ყუმბარა ჰაერშივე გამსკდარა და ნატეხები მოხვედრია გენერალს. ერთი მოხვედრია მარცხენა ყურს ზევით თავში და ისე ძლიერად, რომ გენერალი ეტლშივე გარდაცვლილა. ყუმბარის ნატეხებით დაჭრილა აგრეთვე ერთი ცხენი. ცხენები დამფრთხალა და გაქანებულა ბარიატინსკის ქუჩის აღმართში. მეეტლეს, როგორც იყო ცხენები შეუჩერებია და მოკლულის გვამი საინჟინერო დისტანციასთან ჩამოუტანია. დაიჭრა მეეტლე ფილიპე ნოსოვი. ერთი სალდათი დაუჭრია ეტლს და უკვე გარდაცვლილა. გენერალი მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს. მეეტლე დაჭრილი აღმოჩნდა თავსა, ბეჭსა, გვერდსა და ფეხში. ურიადნიკი მსუბუქად არის დაჭრილი. ყუმბარისაგან ეტლის მარცხენა ნაწილი დამტვრეულია. აქვე შემთხვევით მიდიოდა ორი პატარა შვილით მე-10 ნაწილის მცხოვრები ქალი ზოსლია ბლინშტეინისა, რომელსაც იარმუკაში სახოვაგე ეყიდნა და შინ მიჰქონდა. ბავშვებს გენერლის მომავალ ეტლისათვის გაუსწრიათ და ქუჩის მეორე მხარეს გადასულან, ხოლო ქალს შეუცდია ვიდრე ეტლი გაივლიდა ამ დროს ყუმბარისაგან ქალი ისე ძმიმედ დაჭრილა, რომ იქვე წაქცეულა. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. ქალი საშიშრად არ არის დაჭრილი. ერთი საათის შემდეგ მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს სალდათები, რომელთაც გრიაზნოვის გვამი საკაცით თავის სახლში მოასვენეს. ცხედარს ახლდა ყაზახთა ცხენოსანი რაზმი. ყუმბარისაგან თავზარდაცემული ხალხი ისე გარბოდა, რომ კაცს ეგონებოდა მტრის ჯარი შემოსულაო. პროსპექტზე მაღაზია, დუქნები დაიკეტა და ყველა შიშს მიეცა, რადგან ამ დროს ქუჩებში გამოვიდა ყაზახთა პატრულები და ჯარი. ამათ ალყა შემოარტყეს ბარიატინსკის ქუჩას, ლონდონის სასტუმროს და გოლოვინის პროსპექტს. მაღაზია-დუქნები მალე ისევ გაალეს. ალექსანდრეს ბაღში დააპატიმრეს ერთი კაცი, რომელზედაც სთქვეს ყუმბარა ამან გაისროლაო. ვინაობა დაჭერილისა ვერ გავიგეთ ამ დღეს ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში ხიდებზე და ნამესტნიკის სასახლესთან პატრულებისა და დარაჯების რიცხვი გააძლიერეს. მკვლელობის ადგილს შეიკრიბა შტაბის ოფიცრობა". („ცნობის ფურცელი" 1906 წ. 17 იანვარი № 2980)

18 იანვარს ამავე გაზეთმა, თუმცა შეცთომით, მაგრამ მაინც აუწყა ცნობის მოყვარე საზოგადოებას, რომ „ყუმბარის მსროლელი, რომელიც საკომენდატო გამგეობაში მიიყვანეს გენერალ გრიაზნოვის მოკვლის შემდეგ, აღმოჩნდა ჯარიაშვილი, 24 წლისა, ამიერკავკასიის რკინის გზის ჩამომსხმელ საამქროს მუშა. სახეზე ძალიან გადაფითრებულია, ტანთაცვია ლურჯი ხალათი, შარვალში ჩატანებული. შარვალზე ბწყელი ქამარი აკრავს, და ზედ პიჯაკი აცვია". („ცნობის ფურცელი" 1906 წ. 18 იანვარი № 2981).

— „გენერალ გრიაზნოვის მოკვლის დროს შეპყრობილის გვარი ჯორჯიაშვილი ყოფილა და არა ჯარიაშვილი, როგორც გუშინ ვწერდით. როგორც გადმოგვცეს ჯორჯიაშვილი უცვნიათ რკინისგზის სახელოსნოების მის ამხანაგ მუშებს და აგრეთვე მამას. შეპყრობილი უკვე მისცეს სამართალში. ამ საქმეს გაარჩევს სამხედრო - საველე სასამართლო ომიანობის დროის კანონების მიხედვით:

(„ცნობის ფურცელი" 1906 წ. 19 იანვარი № 2982.)

არსენა ჯორჯიაშვილის მიერ ჩადენილი მკვლელობა მოხდა დაახლოებით იმ დღეებში, როცა საოლქო სამხედრო შტაბის უფროს გენერალ გრიაზნოვის ლოცვა-კურთხევით და საგანგებო დავალებების შესასრულებლად დასავლეთ საქართველოში გაგზავნილი ცნობილი ჯალათი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი თავისი დამსჯელი რაზმით ქვას - ქვაზე არ ტოვებდა და ნაცარტუტათ აქცევდა ყოველივეს იქ, სადაც კი ფეხს დაადგამდა. „დავამთავრე საქმეები შორაპნისა და ქუთაისის მაზრის ერთი ნაწილისა მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ჩემთან იყვნენ დეპუტაციები 36 სოფლის საზოგადოებისა ხელმწიფე იმპერატორის სურათებით, ხატებით და ნაცრობალურის დროშით. დეპუტაციებმა მოისმინეს ჩემი მოთხოვნილებანი და განაცხადეს სრული თანხმობა დადებულ ვადაზე განახორციელონ ეს მოთხოვნილებანი. მოდიან მორჩილად გაქცეული სალდათები და ტუსაღები. ფულის შემოტანას სამი დღის შემდეგ დაიწყებენ. ტენგინის პოლკის როტის იარაღი გადაეცა მივილე მოხსენება გურიიდან, სადაც პოლკოვნიკი კრილოვი ნაუცხოოდ მოქმედობს. ზელაგორში პატრული წააწყდება ორ შეიარაღებულ მილიციონერს. ერთი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს. პატრულმა წამოიღო თოფები, რევოლვერები და ხან-

ჯლები. აქამდე **ჯარი გუბერნიაში** გაფანტული იყო. ეხლა შესდგა ოთხი რაზმი: ქუთაისის, გუბერნიისა, რკინის გზისა და ერთიც მსწრაფლი, რომელიც იქ გაიგზავნება, სადაც საჭირო იქნება. დილით ქუთაისში მივდივარ". აი ასეთი შინაარსის დეპეშას უგზავნის **სისხლიანი გენე**რალი საოლქო-სამხედრო შტაბს.

რომ გენერალი ალიხანოვი დასავლეთ საქართველოს არბევდა და აწიოკებდა, მუდრო მშრომელთა სახლ-კარს და მათ სარჩო-საბადებელს ცეცხლის ალში ნთქავდა, ეს ყველამ კარგად იცის. ისიც გარკვეულია თუ როგორ „საუცხოვოდ მოქმედობდა პოლკოვნიკი კრილოვი გურიაში. „მთავრობამ, რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მისიას, გადასწყვიტა სისხლით და იარაღით ჩაალჩოს გურულების აჯანყება. გურიაში გაიგზავნა 12000 ჯარისკაცი, 6 ტყვიის მფრქვეველი და რამდენიმე ზარბაზანი, ცნობილი სისხლით ვაუმაძღარ გენერალ ალიხანოვის მეთაურობით".

ერთგვარ შვებას და სულიერ კმაყოფილებას იგრძნობს მკითხველი და მის თვალში არსენა ჯორჯიაშვილი საყვარელ გმირად გადაიქცევა, როცა ზემოდმოყვანილ ალიხანოვს დეპეშასთან ერთად წაიკითხავს იმ ცნობას, რომელსაც მოკლულ გრიაზნოვის შესახებ საავადმყოფოს უფროსი ექიმი იძლევა.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს მთავარი ექიმი 17 იანვარი 1906 წ. № 396

კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს გამომძიებელს პოლკოვნიკ ცემე-ფონ-მანტეიფელს.

თანახმად თქვენი მაღალკეთილშობილების წინადადებისა მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი: გენერალ ლეიტანტ გრიაზნოვი იყო მოყვანილი ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 16 იანვარს დღის 11 ½ საათზე — სიცოცხლის ყოველგვარ ნიშნების გარეშე.

სხეულის გამოკვლევისას აღმოჩნდა შემდეგი: მარჯვენა ყურის საფეთქვის ძვლის დვრილისებრი მორჩის, კეფის ძვლის მარჯვენა ნაწილის, კისრის გვერდითი ნაწილის, ყვრიმალის ძვლის გარე ნაწილის და ქვედა ყბის მარჯვენა ნაწილის არეში აღინიშნება ფართო, დახლოვებით ხელის გულის ოდენა ჭრილობა, დაფლეთილი კიდეებით. ჭრილობა ღრმათ მიიმართება ქალას ღრუში საიდანაც გამოჩრილია ტვინის ქსოვილის მასები. ხელის დაჭერით აღინიშნება საფეთქლის და კეფის ძვლის ნამტვრევების მოძრაობა და ტკაცუნი. მარჯვენივ ყვრიმალის ძვალი და ზედა და ქვედა ყბა დამსხვრეულია. მარჯვენა ყურის ნიჟარის უმეტესი ნაწილი მოგლეჯილია, დარჩენილია მხოლოდ კანთან შეერთებული ნიჟარის ზემო ნაწილი. მარჯვენა თვალის ქუთუთოებში არის სისხლის ჩაქცევები. სახის კანი, უმთავრესად მარჯვნივ მოფენილია ქინძისთავის და ქვიშის მარცვლის ოდენა შავი ლაქებით. მარცხენა ლოყაზე თვალბუდის ქვემოდ მოგრძო მოყვანილობის ზერელე ჩაჭდევაა. მარცხენა ხელზე, მაჩვენებელი თითის ხელგულის ზედაპირზე აღინიშნება ღრმა ჭრილობა სიგრძით 8 — 10 სტ., რომელიც ხელისგულზე გადადის მაჩვენებელი თითის 1 ფალანგი გაჭყლეტილია, მარჯვენა ხელის ხელგულის ზედაპირზე იმავე ადგილზე აღინიშნება ისეთივე ჭრილობა ნაკლები ოდენობის, მაჩვენებელი თითის 1 ფლანგის დაზიანებით. მარცხენა წინამხრის და მაჯის ნაოჭის ხელგულის ზედაპირზე — მორგვალო უსწორო ფორმის, მუხუდოს მარცვლის ოდენა ჭრილობაა. მარჯვენა ბარძაყის გარე ზედაპირზე ზემო და ქვემო მესამედში აღინიშნება ორი ჭრილობა — მოგრძო მოყვანილობის, დაფლეთილი კიდეებით, რომელნიც სიღრმეში ძვლამდე აღწევენ. როგორც სჩანს ბარძაყის ძვალი არ არის დაზიანებული. მარჯვენა წვივის შუა ნაწილში არის ოვალური ფორმის დაფლეთილი კიდეებიანი ჭრილობა, რომელიც ირიბად მიიმართება წვივის სიგრძის გასწვრივ და ძვლამდე აღწევს. დიდი წვივის ძვალი ზერელათ დაზიანებულია. სათესლე პარკზე — მარცხნივ და ქვემოდ მუხუდოს მარცვლის ოდენა მრგვალი ჭრილობაა, რომელიც სიღრმეში მიიმართება; ჭრილობის ირგვლივ სისხლის ჩაქცევებია.

მარჯვენა ხელის მხარზე ... შეხვედრო ოდენობის ზერელე ჭრილობაა, ზემოაღწერილი თავის ჭრილობა ტვინის დაზიანების გამო სასიკვდილოდ უნდა ჩაითვალოს. ყველა აღწერილი ჭრილობები მიღებულია აფეთქებული ყუმბარის ნატეხებით".

იმ დროს, როდესაც არსენა ჯორჯიაშვილის სასტიკათ დასჯის მიზნით, უმაღლესი სამხედრო სასამართლო ერთგვარ გასამართლების მოსამზადებლად ემზადებოდა, რეაქციის შავი ყორნები, არაჩვეულებრივი ცერემონიით და საგანგებო პატივისცემით გენერალ გრიაზნოვის დაფლეთილ ცხედარს ეპყრობოდნენ და წარა-მარა წირვა პანაშვიდებს უმართავდნენ. „გუშინ გენერალ-ლეიტენანტ თ. თ. გრიაზნოვის გვამი საკუთარის ბინიდან გაასვენეს ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში. აქ გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდის დროს არსენალის გორიდან სამჯერ ზარბაზანი დასცალეს. წირვასა და პანაშვიდს დაესწრენ კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და მისი მოადგილენი: ი. დ. მალამა, ნ. ა. სულთან-კრიმგირეი და გენ. შირინკინი, სხვა და სხვა დაწესებულების უფროსები, გენერლობა, შტაბის აფიცრობა და ჯარი".

(„ცნობის ფურცელი" 1906 წ. 19 იანვარი № 2982.)

არა მარტო ადგილობრივი მთავრობა და პოლიცია-ჟანდარმერია, გულის ფანცქალით და მოუთმენლად მოელოდა უმაღლესი სასჯელით არსენას დასჯას, არამედ თვით ცენტრი პეტერბურგიც კი ღელავდა და მოითხოვდა მკვლელ ჯორჯიაშვილის სასწრაფოდ დასჯას. მაგრამ პირველ ხანებში ეს ყოვლად



მხატვარ შ. ძნელაძის სურათი — გურული გლეხის ტიპი.

შეუძლებელი იყო, რადგანაც არსენა გონს არ იყო მოსული და ლაპარაკიც არ შეეძლო. „ჯორჯიაშვილი მაინც გონს ვერ მოდის. გუშინაც მთელი დღე თვალაუხელელი იწვა. ჯორჯიაშვილს ხელოვნურად კვებავენ: („ცნობის ფურცელი" 1906 წ. 24 იანვარი № 2986).

ტფილისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსს მოსვენება არა აქვს, მას წარა-მარა ეკითხებიან თუ — როგორია ჯორჯიაშვილის ჯანმრთელობა და ის ასეთ ცნობებს აწვდის სამხედრო სასამართლოს: „ტუსაღის მდგომარეობა ამგვარია: მაჯა 86 წუთში (თანაბარი) სუნთქვა 22 გულის ტონები მოყრუებული, თვალის გუგები გაგანიერებული, მუცელი შებერილი, მარჯვნივ ბრმა ნაწლავის არეში ყურყური... ავადმყოფი უჩივის ტკივილებს სხეულის ზემო ნაწილში და თავის ტკივილს. შეკითხვებზე პასუხობს ძლიერ ჩუმათ. გვიჩვენებს, რომ სტკივა გული, ფერდები, მაგრამ როგორც სჩანს ეს ტკივილები ზერელეა.

არსენას ასეთი მდგომარეობა ხელს არ უშლის გამომძიებელს, რომ საბრალმდებლო ოქმი მთელი თავისი სიზუსტით შეედგეს. „ბომბის მსროლელი ეკითხულობთ საბრალმდებლო ოქმში. დაეშვა ალექსანდრეს ბაღისაკენ, მაგრამ შეჩერებულ და დაჭერილ იქნა სამურის პოლკის მწერლის და დარაჯ ჯარის კაცების მიერ. დაჭერის დროს ბოროტმოქმედმა დასჭრა თავში რევოლვერის დარტყმით პოლკის მწერალი. დაჭერილი ჯოიაშვილი *) უგრძნობლად გადაგზავნეს საკომენდატოში".

როგორც სჩანს არსენა ჯორჯიაშვილი ლაჩრულად არ ჩაბარებია მტერს და უკანასკნელად მისი სისხლი ერთხელ კიდევ დაუნთხევია ალექსანდროვის ბაღში.

რომ გენერალ ლეიტანანტ გრიაზნოვის მკვლელი უბრალოდ ვინმე არ იყო და ის საკმაოდ სახელმოხვეჭილ რევოლუციონერთა რიცხვს ეკუთნოდა ამაში ყველა დარწმუნდა. იყო რა დარწმუნებული პეტერბურგის ჟანდარმთა სამმართველოს დირექტორი ზუბოვსკი იმაში, რომ ჯორჯიაშვილს, აუცილებლად სიკვდილით დასჯიან, ამისთვის ის სამხედრო სასამართლოს დეპეშას დეპეშაზე უშენდა და თხოულობდა ეცნობებინათ თუ როდის გაასამართლებდნენ გრიაზნოვის მკვლელს და როდის მოიყვანდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას სისრულეში. „დაუყონებლივ გვაცნობეთ როდის მოიყვანთ სისრულეში სასამართლოს დადგენილებას, გენერალ გრიაზნოვის მკვლელის შესახებ. ეს ცნობა გვესაჭიროება შინაგან საქმეთა მინისტრისათვის წარსადგენათ".

აუცილებლად ასეთი დეპეშები იყო მიზეზი, რომ ჯორჯიაშვილის გასამართლების საქმე დაჩქარებით იქნა დანიშნული 21 თებერვლისათვის, რისთვისაც პროტესტი გამოცხადა სასამართლოს არსენას დამცველმა იოსებ ბარათაშვილმა. სხვათა შორის საბრალმდებლო ოქმში ვკითხულობთ შემდეგს: „ამიერკავკასიის რკინისგზის ჩამომსხმელ ცეხის მუშამ ციცერსკიმ სხვათა შორის თქვა, რომ ამავე საამქროს მუშას არსენა ჯოიაშვილს არ იცნობდა როგორც რევოლუციონერს და მუშებთა შორის აგიტაციის გამწევს. აღნიშნულ მოწმის ჩვენებით ჯოიაშვილს მოჰქონდა და ავრცელებდა მუშებში პროკლამაციებს. რევოლუციონერათ თვლიდა არსენას პატრიოტული საზოგადოება; 12 თუ 13 იანვარს პიკერსკიმ და ნიკოლოზ ედამოვმა პატრიოტული საზოგადოების სახელით წარუდგინეს ჟანდარმთა ოფიცერს ვოლტერს 16 კაცის სია და მოითხოვეს მათი, როგორც ამჯანყებლების და აგიტატორების სახელოსნოდან გაძევა. მით უმეტეს ყველა ესენი ირიცხებოდენ მებრძოლ დრუჟინის წევრებად.

როგორც ზევით ვთქვით არსენა გაასამართლეს 21 თებერვალს და მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელი — ჩამოხრჩობა. ეს დადგენილება სასწრაფოდ აცნობეს დეპეშით პეტერბურგში: — „პოლიციის დეპარტამენტს გენერალ გრიაზნოვის მკვლელს ჯოიაშვილს ჩამოხრჩობა მოხდება პირველ მარტს, დილის 7 საათზე ქალაქ გარედ საგუბერნიო ციხეში. პოლკოვნიკი ბაზგინი".

აი ასე ეწამა მუშათა კლასის საქმისათვის არსენა ჯორჯიაშვილი, რომელიც, სამართლიანად, საყვარელ და სათაყვანებელ გმირად გაიხადა მშრომელმა მოსახლეობამ.



**ტფილისი. ორი ტონა ძეხვი დღეში.** ქალაქისათვის ყოველდღიურად მზადდება ორი ტონა ძეხვი, უდიდესი ყურადღება ექცევა ხარისხს და სისუფთავეს. **სურათზე:** ძეხვების ხარისხის შემმოწმებელი უჯრედის წევრები ამხ. ამხ. ლივშიცი და კუზუ შვილი.

---

*) თითქმის ყველა დოკუმენტებში ჯოიაშვილი სწერია და არა ჯორჯიაშვილი. ენაგეთის სასოფლო საზოგადოების მამასახლისი, რომელსაც პასპორტს აძლევს არსენას 1902 წელს, ასე სწერს „არსენ ჯოიაშვილსო" თვით არსენაც ტუსაღობის დროს თხოვნას ასე აწერს ხელს „არსენ ჯოიაშვილი"



მხატვარი შ. ძნელაძის სურათი — კოლმეურნეები თოხნიან

# რ. კანდელაკი
# ახალი მატერიკი

**ჩქარი** მატარებელი ფოთი—ტფილისი საღამოს, გავიდა. ნავთსადგურის შუქი ჩაქრა.

მატარებელში დაიწყეს მზადება დასაძინებლად. ჩამოვარდა სიჩუმე.

სამი მგზავრი შეხვდენ ერთმანეთს მატარებელში. გაიმართა მათ შორის საუბარი.

ნიდერლანდში, — სთქვა სათვალებიანმა, რომელიც გამოეცნაური ტურისტად, — ნიდერლანდში გამოგონია არაკი, რომ ღმერთმა შექმნა ქვეყანა, ჰოლანდია-კი ჰოლანდიელებმაო. ასეც იყოს. თქვენ კი, კოლხიდის მშენებლები პირველ ყოფილ ჭაობიდან ქმნით ¼ მილიონ ჰექტარ მშრალ მიწას, ასე არ არი?

— თითქმის ასეა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სიტყვა „პირველ ყოფილს", ღიმილით მიუგო მეორე მგზავრმა, ჭაღარა ინჟინერმა.

— ვიცი, ვიცი,—სთქვა ტურისტმა: -კოლხიდის ჭაობების „პირველყოფილობა" საეჭვოდ არის ცნობილი მე ვიყავი ფოთში, ვინახულე ოსმალების ძველი ციხე, ვნახე ახალი პატარა მუზეუმი, სადაც ძევს უმეტესი ნაწილი ექსპონატებისა ყუთებში გაუხსნელი.

მოხუცი გამგე შესანიშნავი არხეოლოგი აღმოჩნდა. თიხისი მიწაყრილი (კურგანი) აღმოუჩენია კოლხიდის ჭაობებში, ეხლა იძათ გამოკვლევას შეუდგაო ვენი მეცნიერებათა აკადემია. ჩემ წინ მუშევიდან გამოიყურებოდენ უძველესი საგნები და რომ ვუყურებდი ქვიდან ნაკეთებ იარაღს, ჭურჭელს და სხვადასხვა ნივთებს, ცხადად წარმოიდგა, რომ ფოთის პატარა მუზეუმს შემდეგში მოუხდება მსოფლიო მეცნიერების გადაშინჯვა. გავიგე, თუ რა უძველესი კულტურები ილუპებოდა აქ. ვინაიდან ვერ დაიმორჩილეს სტიქია, რა იყო მიზეზი კოლხიდაში ჭაობების გამრავლებისა ათას წლების განმავლობაში?

— ყველაფერი, — სთქვა ჭაღარა ინჟინერმა, — ყველაფერი: წვიმები, ნიაღვრები, მდინარეები, ყველაფერი ეგეც, დაკრა ფეხი რონოდის იატაკს. ჰო, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი კოლხიდაში ჭაობების გამრავლებისა.

სათვალეებიან კაცს გაუკვირდა:

— თქვენ რკინის გზის შესახებ ამბობთ"?

— დიახ, რკინის გზაზე. მეფის ინჟინრებს გაჰყავდათ გზა, თავის თავს ცივილიზაციის მატარებლად სთვლიდენ, ხიდებს კი ისე აკეთებდენ, რომ წყალ გასავალი არ ეძლეოდა. ტოვებდენ ორმოებს სადაც წყალი გუბდებოდა და ამნაირად აჭაობებდენ მიდამოებს. ისინი თავს არ იწუხებდენ ადგილობრივ მცხოვრებლების მომავალზე. წინაც ხომ უნდა ამოწყდენ ამ საშინელ მიწაზე მცხოვრებნი ფიქრობდენ ალბათ ისინი.

სათვალეებიანმა ლაპარაკი ჩამოაგდო რიონის გადაგდების შესახებ.

— საკვირველია — სთქვა მან.— რომ უდიდესი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ჩემზე რიონის გადაგდების პრობლემამ და-

მიკავშირდა და გადამეხლართა ფოთის მუზეუმის და კურგანების გათხრის შთაბეჭდილებებთან.

ქალარა ინჟინერმა გაკვირვებით შეხედა.

— ეხლავე აგიხსნით—ჩვენ მივდიოდით რიონის გადაგდების ადგილზე. ქვიშის ფართო ხაზი, ზღვის ლურჯი კიდე. დიდი ცარიელი ადგილები. ზღვის პირად ეყარენ მედუზები. ისინი იყვნენ ერთად, ერთი ცოცხალი არსებები ამ ადგილებში.

უცებ დავინახე „სტეფანე ხალტურინი", ეს ვეებერთელა მცურავი—იარაღი, ის ღრღნიდა ნაპირს თავის ვეებერთელა ყბებით, ლეჭდა და ათქურთხებდა მიწას, რომ გაენთავისუფლებია შესავალი მიწის მთხრელ ფლოტილიისათვის, პატარა მდინარე „ნაბადის" სათავეში.

მაშინ გავიგე, რომ ეს მძლავრი მექანიზმები გარღნიან გზას რიონის მოსაბრუნებლად, რომ მიკროსკოპიური მდინარე ნაბადის ადგილას შეიქნება ნავსადგური ოკეანეს გემებისათვის და რიონის ძველი კალაპოტის მაგიერ — ზღვის ახალი უბე... როცა წარმოვიდგინე ჭაობების მოსპობა ფოთის ხაზზე, აყვავება მილიონ ევკალიპტების, მანდარინების, ლიმონებისა, მე პირიილად ვიგრძენი ინდუსტრიალურ კულტურის სიდიადე, რომელსაც ქმნის კოლხიდშენი ძველი კულტურის მაგიერ.

მესამე მგზავრი — ახალგაზრდა ინჟინერი ჯერჯერობით არ ერეოდა ლაპარაკში. ის არჩევდა პორტფელში ფოტო-სურათებს და ნახაზებს, თანაც ყურს უგდებდა საუბარს, თითქო უცდიდა თავის ჯერს.

— ძლიერ მოხარული ვარ,—დაამთავრა სათვალეებიანმა და ამოიღო ბლოკ-ნოტი.

— ჩაიწერეთ, ჩაიწერეთ, გაიღიმა ჭალარა ინჟინერი—ჩვენ თავიდანვე მივიხვდით, რომ მწერალი ხართ, აღნიშნეთ კიდევ, რომ ეს ზონა სულ მალე შეიქნება კურორტად, მშრომელთა დასასვენებელ და საექიმო ადგილად, დასწერეთ, როგორც გჩვევიათ „იქ სადაც არავინ და არაფერი იყო მალიარია და რევმატიზმის მეტი...—აქ უცებ შესწყვიტა სიცილი კითხვით:

— კოლმატაცია ნახეთ?

სათვალეებიანი გამოტყდა, რომ არ უნახავს, განა ეს საპასოხმგებლო რამ არი?

ინჟინერმა შუბლი შეიკრა:

დიახ, თუ თქვენ სერიოზულად გინდათ ილაპარაკოთ „კოლხიდშენი"-ს ინდუსტრიალურ კულტურაზე, უნდა ნახოთ არა მარტო გარეგნული ეფექტები, — რიონის გადაგდების იდეა დიადი იდეაა და მისი განხორციელება შესაძლო გახდა მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ დაიუფლეთ ჭაობების დაშრობის მეთოდებს, მათ



მოსკოვი. ქალაქგარეთ ლიჟებზე ხაცუ რავ ადგილზე

OOOO

შორის ყველაზე ახალი მსოფლიო ტეხნიკაში და ყველაზე ძნელი კოლმატაცია არის.

სათვალეებიანმა სთხოვა ამ სიტყვის ახსნა.

— ეს სიტყვა იტალიურია—„კოლმარე" ნიშნავს ზრდას, შემატებას, ზედდაზრდას, ამ მეთოდით აშრობენ ლომბარდიის დაბლობს. დიდი ხანი არ არი რაც ამერიკაში შემოიღეს მეთოდი, ჩვენ კი პირველად ვატარებთ კოლხიდაში.

ინჟინერი მივიდა ფანჯარასთან:

— აი კოლხიდა, მის ჭაობებზე მთლიან ფრონტით მივიტანეთ იერიში: ჩვენ ესპობთ მეწყერს, ვაშენებთ საგუბრებს, გავიყვანეთ ჩრდილო მაგისტრალი, გავყავს სამხრეთის— ეს ფართო ფრონტია. წვრიმალ გაშრობას ვაწარმოებთ არხებით, სადაც საჭიროა, ვაკეთებთ მიწის ქვეშა ჩასაშვებს, ვაშენებთ მექანიკურ წყლის საქაჩავს, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ არის ადგილები, სადაც შეუძლებელია მოყვანილ საშუალებებით ჭაობის გაშრობა. რას ვშვრეთ

თავთ ე. ი. შლამის დალექვის საშუალებით ნიადაგს ვამაღლებთ, ვზრდით ახლად.

გეოგრაფიაში ბავშობიდან,—მდინარე ნილოსის საარაკო სინოყიერეზე. რიონის შლამი კი 1½ ჯერ უფრო ნოყიერია ვიდრე ნილოსის, ზოგ ადგილას შლამში აზოტი და ფოსფორი ორჯერ უფრო მეტია ვიდრე ნილოსის შლამში და ეს სიმდიდრე —10 მილიონი კუბომეტრი შლამი რიონისა, გვერდს უვლიდა ღარიბ სოფლებს და იღუპებოდა ზღვაში.

მოთმინებით, სანტიმეტრ - სანტიმეტრობით ვლექავთ ძეირფას შლამს, ნიადაგი იზრდება. პირველ ხანებში სრულებით არ ემჩნევა—უხილავი პროცესია. გადის დრო, მიდიან წლები, ჩვენ ვიცდით რიონმაც გაამართლა ტეხნიკის გამოანგარიშება: აქაიქ უკვე ამოყვეს წლიდან თავი ჩვენ მიერ შექმნილ მიწებმა, რომლებზედაც უნოყიერესი არ მოიპოვება დედა-მიწაზე. ეხლა ვიწყებთ 6 ათას ჰექტარის კოლმატაციას, შემდეგ რიონის მარცხენა ნაპირს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიონი ცენტნერები უკვე უცდიან დაბინავებას. სათვალეებიანი იგონებს თუ რა იყო 3-4 წლის წინეთ კოლმატაციის ირგვლივ. იგონებს ერთ ენამოსწრებულ შენიშვნას: კოლმატაცია სულ იდეილი საქმეა — ასე 90—100 წლის.

ინჟენერი ეთანხმება რომ ასეთი შიში იყო.

გავიდა 6 წელი და ფაქტებმა გაფანტის ყოველივე შიში. ფაქტები — ახალი მიწების სახით ამოდიან წყლიდან და მათზე ამწვანებული ნერგები ამტკიცებენ კოლმატაციის მიღწევებს.

— ხომ შესაძლებელი იყო რომ კოლმატაციას ცოტა მაინც დაეგვიანებია,—მაშინ?

— მაშინ ვეშველებით ჩვენ,—ჩაერია ლაპარაკში მესამე მგზავრი.

მან გადუშალა გაკვირვებულ თანამგზავრებს ფოტო - სურათები და ნახაზები.

ის უხსნიდა, ჩქარობდა გაეზიარებია ტეხნიკის ახალი მიღწევები.

ჩვენ—ინჟენრების ბრიგადა ჩამოვედით მოსკოვიდან რომ ჩავატაროთ შესამჩნევი აღმოჩენა პროფეს. პოტაპოვისა.

ამ გამოგონებამ აალელვა მთელი კავშირის აღმშენებლები, გიდროცენტრალები, ირიგატორები, მელიორატორები და აი აქ, კოლხიდმშენში უნდა გადარდეს ცხოვრებაში.

გამოგონება წარმოადგენს წყლის ფენებათ გაყოფას:

ახალგაზრდა ინჟენერმა აიღო ფანქარი.

— აი მდინარე, მას მოაქვს ქვიშა და შლამი, მოაქვს ზემო ფენებში. თან მოაქვს საშიშროება გიდროსადგურების შლამით აისიბისა, მდინარეების დაშრობის... ყველა ეს მღვრიე წყლის ბრალია.

ჩვენ ვუშვებთ მდინარეში ფარებს და მივიღებთ წყლის ხრახნილს, ჩვენ ვყოფთ წყალს ძირა და ზემო დენათ, ჩვენ ხელშია ეს დენები, შეგვიძლია გავაძლიეროთ შლამის დალექვა და შეგვიძლია სრულიად არ დავლექოთ.

აქ რიონის დაბლობზე საჭიროა შლამის დალექვის გაძლიერება. რამდენი შიში იყო კოლმატაციის ირგვლივ. ახლა ამ პროცესს დავეუფლეთ და მართლაც სოციალისტურ კოლხიდას არ შეუძლია იცადოს იმდენი, რამდენს იცდის ლომბარდიის დაბლობი იტალიაში. კოლმეტაცია უნდა გადავიყვანოთ ბოლშევიკურ ტემპებზე.

მეორე უბანში კოლმატაციას ჩავატარებთ პროფ. პოტაპოვის მეთოდით ე. ი. 2-ჯერ უფრო ჩქარა ვიდრე ჩვენი იტალიელი მასწავლებლები,— მხიარულად დაამთავრა ახალგაზრდა ინჟენერმა.

სათვალეებიანი სწრაფად სწერდა წიგნაკში.

ფანჯრიდან მოსჩანდა გამშრალ ჭაობებში ელექტრო სადგურები.

— ჭალადიდი, — მოისმა კონდუქტორის ხმა.

გუშინდელ გაუვალ ჭაობებში მოსჩანდა ისარივით სწორი გამზირი მთლ არხებში დიოდა წყალი. მიწის მთხრელი უძლიერ მანქანები ღრღნიდენ ნაპირებს. კოლხიდა სუნთქავდა ახალი ცხოვრებით, რომელიც შემოიჭრა თვით კუპეში ეიბერთელა კაცის სახით. ეს იყო „კოლხიდმშენის“, მთავარი ინჟენერი.

ორივე ინჟენერი მხიარულად მიესალმენ ერთმანეთს.

ის არ დაეძდა. შემდეგ სადგურზე უნდა ჩამოსულიყო, მიდიოდა აფეთქების მოსამზადებლად. შეატყო ჩამოსულის დაინტერესება, და განუმარტა:

ჩვენ ვგლეჯთ მიწას ისე როგორც კალიფორნიაში, ვაფეთქებთ ჭაობებს. არხებს გვითხრის ამონალი. ეს ჩამოვიტანე ამერიკიდან. გვაძლევს ისეთ ტემპებს რაც არ შეუძლია მოგვცეს უძლიერეს მექანიზმს, ერთი დაგანახვათ როგორ გადისვრის 1200 კუბ. მიწას, ნამდვილი ფრონტია ჭაობში

— ახალსენაკი,—მოისმა კონდუქტორის ხმა. ხალხი აირია.

სამივე ინჟენერი გავიდა ბაქანზე.

სალაროსთან იდგა რიგი, ირეოდა ტომრები, ხურჯინები, ტიკები. იცინოდენ ილანძღებოდენ, ხუმრობდენ. ხმაურობდენ.

შუა რიგში ინჟენერებმა დაინახეს სათვალეებიანი მწერალი. ის იდგა ხურჯინების შუა ტურისტის კოსტიუმში—ბრუნდებოდა კოლხიდაში.

# რუხის ციხე

## ალ. საჯაია

დავტოვეთ ბინდში გახვეული, ოდების მწკრივი,
როგორც ქარმა და ორთქლმავლის გამძლე ბორბლებმა.
გულს აღფრთოვანებს, გაზაფხულის ნიავი, ცივი
და ბინდის შემდეგ გარიჟრაჟთან დამეგობრება.
ღამით ჭრჭილებს, როცა ნამი მკერდზე დასცვივა.
და ალიონზე ჩაიმსხვრევა ვერცხლის ხაზები.
ჩვენც სტუმარივით. ღამემ ეზო გამოგვაცილა.
და მზის სიცილზე, ჭრჭილივით გავინაზენით.
გვიდევს ნაპირი სადაც არის ტევრი ველური,
სადაც ენგურის გიჟ ტალღების არის მარულა.
რუხის ციხე კი, ბორცვზე დინჯად ამაღლებული,
გასცქერის სადღაც... დაღვრემილი ლეგენდარულად.
ციხევ შენ გახსოვს გაცოფებულ თავადთა რისხვა...
შარვაშისძეთა რაინდული ელვა მკერდების.
როცა შადრევნად ამოხეთქილ მოძმეთა სისხლმა,
ნიაღვარივით ჩამორეცხეს შენი კედლები.
ჩვენ კი მოვსულვართ... ჩვენს გულებში დილა იხარებს.
ხარობს სიმღერა ჭრჭილები, რომ შლიან მშვიდად.
მოვალთ გულდაგულ, კომკავშირულად, მშობელო მხარევ;
ჩვენ დამკვრელური აქ შრომა და სიმღერა გვინდა.
რა უნდა სჯობდეს, როცა ათასს გული ერთი აქვს...
ნაღვერდალივით ათასის გულს ხალისი ათბობს.
რომ სურვილიბიც ხანჯლის პირზე უფრო მკვეთრია,
მთებზე მაღალი, მთებზე დიდი და უფრო ფართო.
აი, ევლება ცეცხლის ენა ტევნარს გველივით;
ჩვენი ბრიგადაც აი, იბრძვის ცეცხლთან, ცეცხლივით.
შეღამდა კიდეც... მოსჩანს ველი გადათელილი
და იყურება მშვიდ თვალებით, ცა მოვერცხლილი.
მზემ, დასავლეთით, თან წაიღო დღის გახარება.
კვლავ დუმილი და გორაკებზე სიშავე ბინდის.
ხოდაბუნები კვლავ ელიან ამჭუხარებას
და კვლავ სიხარულს უცდის ღამის ბუნება—მშვიდი.
შორს ისევ ბინდში ჩაძირულა ოდების მწკრივი...
გვიკვირს რომ ბიჭებს ეს ულრანი გაგვირღვევია.
მოვალთ და ცელქობს გაზაფხულის ნიავი, ცივი
და ჭრჭილებიც ჩვენთან ერთად გაიმღერიან.

ლ. ასათიანი

# პოეტი ქალი თეკლე

თეკლე უსაყვარლესი ასული იყო ირაკლი მეფისა, პატარაობიდანვე იგი გამოირჩეოდა თავისი დებისაგან ვაჟური იერით, სიმკვირცხლით, და მარჯვე ქცევით. ალბად ამიტომ იყო, რომ ოთხი წლის თეკლესთვის ირაკლის სახუმარო სიგელი უბოძებია: „თუმცა **აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერითგან გიწყალობებთ ბიჭის სახელს და ვუბრძანებთ ყველა შენს ძმებს და დებს გიწოდონ თეკლა ბიჭიო**". ამ სიგელს ხუმრობითვე ამტკიცებდნენ კათალიკოზი ანტონი-ბიძა თეკლესი და ძმა იულონ ბატონიშვილი.*)

ჩვენამდე შემოსულა რამდენიმე წერილი ირაკლისა, მიწერილი თეკლესადმი ჯერ კიდევ მის მცირეწლოვანებაში. ის წერილებიც იმავე ხუმრობის კილოთია დაწერილი.

„**თეკუნავ ჩემო,** მიმართავს 1781 წელს ირაკლი ხუთი წლის ქალიშვილს, — **შენი სიბრძნით სავსე წიგნი მომივიდა, რომლისაგან შენ ხომ იცი და გონიერი ქალიცა ხარ როგორ მიამებოდა და მაგებდა, მაგრამ უცხოს ოსტატობით და მდივნობით იყო შენი გარჯილობა. უფრო რომ არაბულს ხელს გემსგავსებინა. შუტის სიღრმისაგან ვერ ამოვიკითხეთ და ვერც არა შევიტყვეთ. შენთვის ახლა პირს კოცნა მომიხსენებია. ჩემაგიერად დედაშენმა გაკოცოს.** ექვსი კარგი ბროწეული გამოგიგზავნია. ხვალ ღვთით კიდევ ბევრს შაქრის ყინულს და ნუგლს და შაქარს გამოგიგზავნი".

მეორე წერილი ირაკლისა თეკლესადმი 1785 წლით არის დათარიღებული ამ დროს თეკლე უკვე ცხრა წლის ჰასაკშია. ეს წერილიც იმავე ალერსით არის გამსჭვალული.

თეკლეს ბიოგრაფიული ცნობები, ისევე, როგორც მარიამისა და ქეთევანისა, ნაკლებად მოგვეპოვება. ეს შეეხება განსაკუთრებით მისი ახალგაზრდობის პერიოდს.

ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვით თეკლე „სამეფო სახლში იყო აღზრდილი, თავისი დედის დარეჯან დედოფლის ტაველების ქვეშ. სწავლა ისე ჰქონდა მიღებული, როგორათაც იმ დროის საქართველოს ქალებს ასწავლიდენ საქართველოში და სწურთვნიდენ. მან იცოდა ქართული წერა - კითხვა. მშვენივრად ლაპარაკი, მწიგნობრობა და სიყვარულის კრძალულება და სათნოებითი მხარეები, რასაც მას დროს ასწავლიდენ ქართველ ქალებს. მწიგნობრობის მოყვარეც იყო და ხშირად ლექსებსაც სწერდა". *)

თეკლე ბატონიშვილის გონებრივ განვითარებაზე უეჭველად დიდ გავლენას მოახდენდნენ ირაკლის კარზე დაახლოვებული კათოლიკე პატრები და აგრეთვე სხვა უცხოელები, რომლებიც ხშირი სტუმრები იყვნენ იმ დროის საქართველოში. ამ უცხოელებში აღსანიშნავია სხვათა შორის დავით ბატონიშვილის აღმზრდელი, ავსტრიელი მსწავლული პირი **თ. გეტტინგი,** რომელიც 1789 წელს პეტერბურგიდან იქნა მოწვეული მეფე ირაკლის მიერ, აგრეთვე დოქტორი იაკობ **რეინეგსი,** რომელიც წარმოგზავნილი იყო თავად პოტიომკინის მიერ, საქართველოს სამეფო კარზე, პოლიტიკურ აგენტად. სხვათა შორის ამ დოქტორ რეინეგსს და კათოლიკე მისიონერებს ჩაუნერგავთ დავით ბატონიშვილისათვის ინტერესი საფრანგეთის რევოლუციის და ნაპოლეონ პირველის პიროვნებისადმი*). ამ საზოგადოებასთან ახლო ყოფნას, თეკლესთვის, რომელიც პატარაობიდანვე გამოირჩეოდა თავისი მახვილი გონებით, არ შეიძლება შესამჩნევი ნაყოფი არ გამოეღო.

კათოლიკე მისიონერებთან ახლო ნაცნობობა და ურთიერთობა თეკლეს ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე ჰქონდა დამყარებული. ეს კავშირი შემდეგაც არ დარღვეულა, „იტალიური ენის სწავლებაში,— ამბობს პოეტი ვახტანგ ორბელიანი, 1814-1890, უმცროსი ვაჟი თეკლესი, **მე მეხმარებოდა ერთი პატრი, დედიჩემის** კარგი **ნაცნობი, მომსწრე მეფე ერეკლესი და გიორგი მეფისა... დედაჩემი მათ ბევრჯერ მოურჩენიათ ავადმყოფობისაგან... პირველ წლებში, რუსობისას, პატრები ჩვენსა ხშირად დაიარებოდენ. დედაჩემი დიდი პატივისმცემელი იყო მათიო".** )

თეკლე ოცდაორი წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. ეს მოხდა 1798 წელს 11 მარტს. ამ დროიდან გადარჩენილა თეკლეს წერილი, მიმართული გარსევან ჭავჭავაძის მეუღლის მაიასადმი, სამძიმრის პასუხად. წერილი რიტორიული სტილის ნიმუშს წარმოადგენს. „**ცვალებამან მრავალ საგლოველისა ამის სოფლისამან, განკვეთა გული ჩემი საშვებელისა ხედვისაგან, დამაკლო სატრფიალოსა სიცოცხლესა, ალავსო საცრემლე თვალთა ჩემთაო,**— სწერს „მარადის ცრემლმომდინარე, მრავალის მწუხარებით გულ სისხლ მრქმევარე" თეკლე თავის მეგობარს.

ორი წლის შემდეგ, გიორგი ცამეტის სიცოცხლეშივე, თეკლე ცოლად მიჰყვება ვახტანგ ორბელიანს. „მეფე იქნა სნეულებითა დამძიმებული, გვიამბობს **პლატონ იოსელიანი,** მოახსენეს ბრძანოს გათხოვება მეფის ასულის თეკლასი. ბრძანა, დალოცა, აკურთხა და დასწერა ჯვარი ვახტანგ ყაფლანის შვილზედ, რომელიცა იყო ძე თავადის დიმიტრისა".

იგივე ალექსანდრე გვისურათებს თეკლეს აქტიურ როლს რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობის იდეური მომზადების საქმეში. „ჩემი რჩევა ეს არის, - აქეზებდა თავის ქმარს თეკლე 1812 წელს, - რომ თქვენ სულ ერთიან კახელებს მიუდგეთ, წინ უძღვით, ნუღარ დააყოვნებთ საქმეს. აქ ჩვენ რაც უნდა მოგვივიდეს ოქროს ცოლშვილებს, თუნდა სულ ერთიან ლუკმა - ლუკმა დაგვჭრან, ერთი არაფერი არის, ოღონდ მიუდექით თქვენ ძმებს კახელებსა...

თავგამოდებით ასეთსავე როლს თამაშობდა თეკლე 1832 წლის შეთქმულების დროს, მიუხედავად ხანდაზმულობისა. მაშინ თეკლე ორმოცდაათ წელს იყო უკვე გადაცილებული, - იგი როგორც ახლო ნაცნობი შეთქმულთა პოლიტიკური ზრახვებისა, თავისი თანაგრძნობით, რჩევით, წაქეზებითა თუ გამხნევებით, როგორც ჩანს, ხელს უწყობდა მათ პრაქტიკულ განხორციელებას.

თეკლეს შვილები - ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგი უახლოესი მონაწილენი იყვნენ შეთქმულთა

---

*) ერთი თავი გამოკვლევიდან „ძველი საქართველოს პოეტი ქალები".

*) ს. კაკაბაძე წერილები და მასალები საქ. ისტორ. წ: - გვ. 133 ტფ: 1914 წ:

*) ზ. ჭ. — „ვახტანგ ორბელიანი" ტფილისი 1892 წ. გვ. 12-13.

საზოგადოებისა და შეიძლებელია მათ თავის საქმეშიგანდობილი არ ჰყოლოდათ დუნაც. რომანტიულ-პატრიოტულად განწყობილ შეთქმული თავადაზნაურ ახალგაზრდობისათვის რომელიც წარმოადგენდა ბაგრატიონთა დაცემული სამეფო დინასტიის ცოცხალ სიმბოლოს, რუსეთის უმაღლესმა საგამომძიებლო კომისიამ, სჩანს ჯეროვნად შეაფასა თეკლეს როლი 1832 წლის შეთქმულების საქმეში და სათანადო მსჯავრიც გამოუტანა მას. თეკლე გადასახლებულ იქნა ქალ. კალუგაში თავის შვილებთან, დიმიტრისთან და ვახტანგთან ერთად.

უფროსი ვაჟი თეკლესი, იმ დროს პოდპორუჩიკის ჩინში მყოფი ალექსანდრე, გამწესებულ იქნა ალექსანდროვის ფორტში, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ კიდეზე. გადასახლებაში თეკლემ ერთ წელიწადზე მეტი ხანი დაჰყო. ეს დრო საკმარისი იყო იმისათვის, რომ მოხუც მეფის ასულს სათანადოდ შეეფასებინა მომხდარი ამბავი და არსებული პოლიტიკური სიტუაცია. მეოცნებე პატრიოტების ოპოზიციონერმა სულისკვეთებამ ჩქარა დაჰკარგა თავისი სიმძაფრე და შეურიგებლობა. იგი შესცვალა შეგუებისა და „უქვეშევრდომილესი“ გრძნობების მძლავრად წამოსულმა ტალღამ. ჩქარა თითქმის ყველა შეთქმული ქართველი არისტოკრატი შეიქნა ერთგულესი მოხელე და მეომარი რუსეთის თვითმპყრობელური ტახტისა. თავისი ერთგულებით ბევრმა მათგანმა მიაღწია სამხედრო და სამოქალაქო იერარქიის უმაღლეს საფეხურებსაც კი, როგორც მაგალითად **გრიგოლ ორბელიანმა** ან **დიმიტრი ყიფიანმა.**

ეს არ შეიძლება ითქვას ჩვენი ინტელიგენციის იმ დემოკრატიულ ნაწილზე, რომელმაც არისტოკრატიასთან ერთად მონაწილეობა მიიღო 1832 წ. შეთქმულებაში; ესენი იყვნენ წვრილი აზნაურები, მასწავლებლები, ხალხიდან მოსული ახალგაზრდობა: **სოლომონ დოდაშვილი, რაზმაძე, ფილადელფოს კიკნაძე...** ქედის მოხრას მათ არჩიეს ცივი შეურიგებლობა, სამსახურში პირდაპირობით დაწინაურებას მდუმარე, გულჩახვეული, ჩრდილმიფარებული არსებობა და ადრიანი სიკვდილი ციხესა და ჩრდილოეთის შორეულ გადასახლებაში.

ქართველ არისტოკრატის შეცვლილ განწყობილებებს საუცხოვოდ გვიხატავს თეკლეს მიმოწერა შვილთან და რძალთან, ეს მიმოწერა მისი გადასახლების პერიოდს (1834-35 წ.) ეკუთვნის.

1834 წლის 12 დეკემბერს კალუგიდან, იგი სწერს შვილს, ალექსანდრე ორბელიანს, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა ალექსანდროვკაში, კასპიის ზღვის კიდეზე: „კარგი მოწყალე ხელმწიფე გვყავს და არ შეიძლება მოწყალებით არ მოგვხედოს. კარგი იყო არ მომხდარიყო და მეცასე არ დავეღუპეთ უბრალო სულელი ყოვლითურთ. ღმერთთან გამცენ პასუხი მიზეზთა“...



ფერო-კლუბის ქართული დასის შემადგენლობა.

ერთი კვირის შემდეგ თეკლე კვლავ მიმართავს ალექსანდრეს: **„დღეს სწორს, შენ რომ წიგნი მოგწერე, იმ საღამოს მეცხრე საათზე გამომიცხადეს, იმის დიდებულებას განუთავისუფლებივარ, კალუღიდამ პირდაპირ ისევ ჩემს ქვეყანაში, საქართველოში, უნებებია ჩემი წასვლა“...** თეკლე დაღონებული დასძენს: **„მე კი ეხლა ამისთანა ზამთარში არ შემიძლია წასვლა—აპრილს იქით წავალო“**. ბოლოს კვლავ იმეორებს ფრაზას, რომელიც გვხვდება თეკლეს თითქმის ყველა წერილში: „კარგი ხელმწიფე გვყავს შენმა მზემ“

ეს სიტყვები მარტო თეკლესი არ არის. ეს უკვე საერთო აზრია გადასახლებაში მყოფ შეთქმულ არისტოკრატების.

პოლიტიკური რეჟიმის მრისხანე ხელმა ჯერ მაგრად დაარტყა რომანტიკოს თავადებს, შემდეგ იგივე ხელი მამობრივი მზრუნველობით მოეფერა მათ. ერთგულებისათვის პატივი მიანიჭა. თუ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, სულ სხვა სოციალ-ეკონომიურ პირობებში, რუსულ ინტელიგენციაში ჩვენ ვხვდებით ეგრეთწოდებულ “მონანიებულ აზნაურებს“, აქ ჩვენ საქმე გვაქვს „მონანიებულ თავადებთან“. მხოლოდ მათ შორის არის „პატარა“ განსხვავება. თუ პირველნი თავისი კლასის საეკონომიო ცოდვებს და დანაშაულს „ინანიებდნენ“ ხალხის წინაშე, ჩვენი ახალგაზრდა თავადიშვილები თავის სინანულს უქვეშევრდომილესად უცხადებდნენ რუსეთის თვითმპყრობელს. თავისი ლოიალური გრძნობებისა და საქმიანობის ჯილდოთ მათ წინ ესახებოდათ საომდო პერსპექტივები წოდებრივი პრივილეგიების და კმაყოფილებისა **„თიბათვეში ტფილისში თქვენთან ვიქნები,**—სწერდა თეკლე თავის რძალს ეკატერინეს კალუგიდან (1835 წ. 7 თებერვალს), **ღვთის გულისათვის, ნურავინ რას იწუხებთ, კარგი დღეები მოდის, ყველას ერთად დაგვახარებსო... როგორც ქუხდა, ღვთით ისე არა სწვიმს, ყველამ ისე იცოდეთო“,**—დასძენდა იგი იმედიანად...

კალუგიდან თეკლემ მხოლოდ 1835 წლის მაისში შესძლო გამომგზავრება. „ამ თვის რვას კალუგიდან წამოველ და გუშინ აქ ტულაში მოველო,—სწერდა თეკლე ალექსანდრეს ორენბურგში,—მოწერა არ შემიძლიან რასაც პატივით მე წარმომგზავნეს შენმა გაზრდამ, ღმერთმან უმეტესად ადიდოს ჩვენი ხელმწიფე... ჩვენ ღირსნი არა ვართ ასეთი ხელმწიფე გვყავდეს“...

ერთი თვის მგზავრობის შემდეგ თეკლეს ცხოვრებაში არაფერი ღირსშესანიშნავი აღარ მომხდარა. იგი უმეტეს წილად ცხოვრობდა ტფილისში. მის საზოგადოებას შეადგენდა ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატია და სალონები, სადაც იკრიბებოდნენ საუკეთესო ძალები მაშინდელი ქართული ლიტერატურისა: თეკლე თანამედროვე იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკო ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, ნინო ჭავჭავაძე—

გრიბოედოვისა, მანანა ორბელიანის. იგი დიდ ყურადღებაში იყო მეფის ნაცვალ მ.ს. ვორონცოვთან, რომელსაც ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის ქართველი მაღალი წრის თავადაზნაურობასთან.

გარდაიცვალა თეკლე 1846 წლის 11 მარტს*), იმ წელს, როდესაც დაიღუპა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ვორონცოვმა იგი მეფური პატივით დაკრძალა მცხეთაში, მისი მამის გვერდით.

თეკლეს სახელით ცნობილია სულ სამი ლექსი. მათი თემატიური მასალა იგივეა, რაც თეკლეს დების, — მარიამის და ქეთევანის ლექსებისა. მათი იდეური შინაარსიც ანალოგიური ხასიათისაა. ამიტომ აქ აღარ გამოუდგებით თეკლეს პოეტურ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ ანალიზს.

აღსანიშნავია მხოლოდ ერთი გარემოება.

თეკლეს ლექსები, ისე, როგორც მე-18—19 ს.ს. მიჯნაზე მცხოვრებ სხვა პოეტთა უმეტესობის ნაწარმოებნი, საკრავზე დასამღერებლად არიან გამიზნულნი. ამიტომ არის, რომ ამ ლექსებისათვის დამახასიათებელია რიტმიული არათანაბრობა და აგრეთვე რეფრენი, რომელიც ყოველი სტროფის შემდეგ ახლავს ლექსების უმეტესობას.

ამ დროს დიდ გასავალშია სპარსული და თურქული ყაიდის სიმღერები და ლექსებიც ამ მოტივების შესაფერ რიტმიულ აღნაგობას ღებულობენ. ამის ნიმუშს წარმოადგენს თეკლეს ერთი ლექსი, რომელსაც წარმძღვარებული აქვს შენიშვნა: „რასტის გუშა გულ ჰამანუმ ჯამანის ხმაო".

თეკლეს ლექსები შენახულა დავით რექტორის მიერ შედგენილ გადაწერილ კრებულში.

ეს ლექსები ეკუთვნის მე-19 საუკუნის დასაწყის წლებს.

# ქართული კინემატოგრაფიის შემოქმედებითი გზები

**დ. რონდელი**

**ამჟამად მთელმა საბჭოთა საზოგადოებრივობამ გადაიხადა საბჭოთა კინომატოგრაფიის 15 წლის თავი ბრწყინვალე და სახელოვანი გამარჯვებები მოიპოვა საბჭოთა კინემატოგრაფიამ ამ 15 წლის თავზე. მრავალ შესანიშნავ სურათებს შორის მიღწევათა ასეთ უძლავრეს სახეს წარმოადგენს სურათი „ჩაპაევი", ჩვენი ქვეყნის საყვარელ ბელადმა ამხ. სტალინმა თავის მისალმებაში კინომატოგრაფიის მუშაკებისადმი დადებითად აღნიშნა „ჩაპაევის" მნიშვნელობა და მოუწოდა ჩვენს კინომუშაკებს მსგავსი და უკეთესი მიღწევებისაკენ. ამ მიღწევებისათვის უნდა იბრძოლოს ქართული კინემატოგრაფიამაც, რომლის მუშაკებმა არა ერთი და ორი შესანიშნავი სურათი შექმნეს.**

პირველი პერიოდი, — რომელიც საქართველოში საბჭოების დამყარების პირველ წლებს ეკუთვნის: — ქართული კინემატოგრაფია ხასიათდება უმთავრესად ბურჟუაზიული იდეოლოგიის დიდი გავლენებით. ამ წლებში გამოშვებული დიდი რაოდენობის პროდუქცია, თითქმის ერთი ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა: ეს იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ნიშნები ბურჟუაზიული კინემატოგრაფიის მხატვრული ხერხების გამოყენება, ობივატელურ მაყურებელზე ორიენტაციის გზით: ეს იყო ნაციონალური ეგზოტიკით სპეკულაცია და საბჭოთა თემატიკის დამახინჯება.

პირველი ფილმი, რომელმაც გახსნა გზა —საბჭოთა კინემატოგრაფიისა — ახალი თვალთახედვისკენ — ეს იყო რეჟ. ი. ნ. პერესტიანის „წითელი ეშმაკუნები". ამ ფილმმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა მაყურებელში და სამართლიანად დაიმსახურა წითელი დროშა. აქ აღებული სამოქალაქო ომების თემატიკა — თავგადასავლურ სიუჟეტის ფორმაში — რეჟისორის მიერ დიდის ენთუზიაზმით იყო გაკეთებული. უყურებთ ახლაც ამ ფილმს და კიდევ ერთხელ რწმუნდებით, როგორც მასალის აქტუალობაში — ისე ფილმის ავტორის გულრწფელ მიდგომაში მასალისადმი.

ამ პერიოდში, დამახასიათებელი იყო აგრეთვე ლიტერატურული კლასიკოსების ეკრანიზაცია. ბევრ ჩავარდნებს შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ საქმეში შეიძლება გამოვარჩიოთ თავისი დიდი ემოციონალური ღირსებით, გ. წერეთლის ნაწარმოების „პირველი ნაბიჯის" ეკრანიზაცია ფილმში, „სამი სიცოცხლე", რეჟ. პერესტიანის მიერ. აქ პირველად ჩვენ კინო-პროდუქციაში ნაჩვენები იყო, ისტორიული, ტიპიური ადამიანი ბახვა ფულავას სახით. ეს ტიპი ანსახიერებდა კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოს პირობებში, ცხადია, ავტორმა კლასიკოსის თემის ვერ მისცა თანამედროვე პოლიტიკური ინტერპრეტაცია და ბახვა ფულავა უფრო სენტიმენტალური მელოდრამის პერსონაჟს მოგვაგონებდა, ვიდრე ისტორიის მიერ კაპიტალიზმის ასპარეზზე წამოწეულ გმირს.

ამ პერიოდში აღსანიშნავია რეჟისორ ალ. წუწუნავას მთელი რიგი ფილმებისა („ვინ არის დამნაშავე", „ხანუმა", „ჯანყი გურიაში"), რომელიც უმთავრესად ლიტერატურულ ნაწარმოებების ეკრანიზაციას აწარმოებდა. წუწუნავას მიერ გაკეთებულ ფილმებში ლიტერატურული თემატიკა პოებდა შედარებით მეტ სერიოზულ გაფორმებას, უფრო მეტ ისტორიულ-რეალისტურ თვალს. აქ იყო, თუ გნებავთ მთელი შკოლა ისტორიულ-რეალისტური ფილმისა, რომელიც ნატურალიზმში გადასვლის გზით ბევრს კარგავდა, თავის ემოციონალურ თვისებაში. მასალის ისტორიულ-პედანტური გაგება განსაზღვრავდა რეჟისორის შემოქმედებით მეთოდსაც, — ეს რეალიზმი არ ეთავსებოდა თანამედროობის მსოფლმხედველობით გაგებას; მაგ. ფილმში „ჯანყი გურიაში", რეჟისორის ამოცანას შეადგენდა ეჩვენებინა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გურიაში, რუსეთის თვითმპყრობელობის გაფთრების პერიოდში; მაგრამ რეჟისორმა აღნიშნულ ისტორიზმის გზით დაჰკარგა, ისტორიული სინამდვილის განზოგადოების საშუალება, და ფილმში, მომქმედი აქტიური ისტორიული გმირებიც კი გაითქვიფენ ბატალურ მიზანსცენებში.

ქართული კინემატოგრაფიის ნამდვილი აღდგენითი პერიოდი იწყება, მას შემდეგ, როდესაც რეჟ. ნ. შენგელაიას მიერ გაკეთებული იქნა, ცნობილი ფილმი „ელისო". რა იყო და რა არის საინტერესო „ელისოში". ქართველი კლასიკის ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ელისო", რეჟისორის მიერ კინემატოგრაფიულად გადაკეთებულ იქნა სწორი და პრინციპიალური იდეურ-მხატვრული გაგებით. რა იყო მთავარი — თემის მიხედვით: ცარიზმის დამპყრობელობითი— კოლონიალური პოლიტიკის რეაქციონური ბუნების გაშიშვლება—დაპყრობილ ერების ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის ფონზე. თემა უაღრესად აქტუალური-ტიპიური — ყველა დაპყრობილ და კოლონიალურ ქვეყნების მიმართ. სწორ შემოქმედებითი მეთოდის საფუძველზე — ფილმი გამოვიდა უაღრესათ ემოციონალური და დამაჯერებელი.

მოთხრობის საფუძვლად დადებული დოკუმენტალური ფაქტი — ჩაჩნების ძალმომრეობით გადასახლებისა თავისი საშობლო ადგილიდან — ფილმში გაიზარდა უაღრესად ტრაგიულ თვისებების კონფლიქტათ. ფილმის განსაკუთრებულ თვისებას შეიცავს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ აქ ტიპიურ განზოგადოებას იღებს არა მხოლოდ



აქტიორი **ბაბოჩკინი**, რომელიც თამაშობს **ჩაპაევის** როლს წითელი არმიის თეატრის [illegible] წლისთავის გამო ტანთგადაცმული ესალმება თეატრის მომუშავეებს.

OOOOOOO

ცალკეული ადამიანის ბედი, რომელიც მთელი ერის მასის სოციალური ტრაგედია. ამიტომ ფილმის ჟანრიც ტრაგედიული ხასიათით იხრება. ფილმის იდეური ამოცანა გახსნილია ისეთ დრამატურგიულ სიტუაციაში, რომლის მსგავსი იშვიათად მოიძებნება მსოფლიო კინემატოგრაფიაშიც.

თუ სურათი ტექნიკური გადაწყვეტის მხრივ გამოირჩეოდა — ამის მიუხედავად სურათში იგრძნობა რეჟისორის მართალი კომპოზიციის ალღო, დიდი ტემპერამენტი და ზომიერების გრძნობა. „ელისო" ღირსეულად შედის კინემატოგრაფიული კლასიკის ფონდში.

შემდეგი ე. წ. რეკონსტრუქტიული პერიოდი ქართული კინემატოგრაფიისა ხასიათდება თანამედროვე თემატიკაზე გადასვლით. ამ მხრივ დამახასიათებელ ფილმად უნდა ჩაითვალოს რეჟისორ **მ. ჭიაურელის** „საბა", რომელსაც გვერდს ვერ აუხვევთ ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაში, აქ პირველად იყო გამოყენებული ე. წ. სიუჟეტური მელოდრამა მუშათა თემატიკის ახსნისათვის. „საბა" ტიპიური [illegible] ტრამვაის მუშაა, რომლის ხასიათი მძაფრი დრამატიზმით იხსნება ფილმში. ამ სურათში შესამჩნევი იყო გერმანული ექსპრესიონიზმის გავლენა, როგორც ცალკეულ კადრების კომპოზიციაში, ისე საერთოდ სურათის განწყობილებაში. რეჟ. მ. ჭიაურელმა შემდეგ თავის ფილმში „ხაბარდა"-ში **სწორად აღებული შემოქმედებითი მეთოდი სიუჟეტური კინემატოგრაფიისა**, მიმართა ახალი პამფლეტური ჟანრის ძიების გზით. ამიტომ „ხაბარდა"-ში მოხდა ჟანრების აღრევა. რეჟისორის მიერ მძლავრად მომარჯვებული პამფლეტის იარაღი გადასცდა **სამიზნო ზღვარს და ფილმმა დაკარგა ემოციონალობის** უნარი.

ქართულმა კინემატოგრაფიამ რეკონსტრუქტიულ პერიოდში წამოაყენა ახალი რეჟისორული შემოქმედებითი კადრები, რომელნიც უმთავრესად თანამედროვე და ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკაზე მუშაობენ. ამ პერიოდში ქართულმა კინემატოგრაფიამ განიცადა დიდი გავლენები, საბჭოთა კინემატოგრაფიის ზოგიერთი კინო-მიმართულებისა, უმთავრესად ე. წ. ინტელექტუალური კინემატოგრაფიის წიაღიდან გამოსული ფორმალისტური კინემატოგრაფის გავლენა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ლიტერატურულ ფრონტზე მებრძოლი ე. წ. მემარცხენე ფრონტის („ლეფის") შეხედულებების გადმონერგვა კინემატოგრაფიაში, ამ მიმდინარეობამ გარდა თავისი უარყოფითი იდეურ-მხატვრული შედეგისა, თავისი დადებითი როლიც ითამაშა — როგორც კანონზომიერმა მოვლენამ, შემოქმედებითი კადრების იდეოლოგიური ზრდის მხატვრული ოსტატობის დაუფლების საქმეში.

ლიტერატურიდან მოსულ რეჟ. **ლ. ესაკიას** პირველი სურათი „ბოლტზე" სოფლის კოლექტივიზაციის თემაზე, შესანიშნავად გაკეთებული იყო ტენდენციურ — პუბლიცისტური მანერით, **[illegible]** და გრძნობის გარეშე — როგორც ეკრანიზაციის ფაქტის. ცხადია, ეს მეთოდი არ გამოდგებოდა საბჭოთა კინემატოგრაფიის წამყვანი ძალით და შემდეგში თვითონ რეჟ. ესაკიაც დაშორდა ამ გზას. შემდეგ მის სურათებში („ამერიკანკა", „შაკირი") ეს გზა მობრუნებული იქნა უფრო სწორი მიმართულებით, საბჭოთა მხატვრული ფილმისაკენ.

სურათი „ამერიკანკა", რომელიც თემატურად ეხებოდა ბოლშევიკური არალეგალური სტამბის ისტორიულ მასალას, [illegible] განიცდიდა ე. წ. ინტელექტუალურ კინემატოგრაფიის გავლენას. თვითონ თემატიური არჩევანი — სტამბის — მანქანის დრამატურგიული გათამაშება სჭიროდა — ნივთის ფეტიშების და [illegible], კადრი სურათში მიმქრალ გმირების ხასიათების და [illegible] ურთიერთობის მხატვრული ასახვის ნაცვლად [illegible]. შემოქმედებითი გზაზე ასეთი მეთოდი, თავის უარყოფითი გავლენის ახდენდა ფილმის ემოციონალურ ღირებულებაზე, იმის მიუხედავად, რომ სურათი ოსტატობის მაღალ დონეზე იდგა.

„მემარცხენე" კინემატოგრაფიის ძლიერი გავლენის ქვეშ გაიარა რეჟ. **მ. კალატოზიშვილმა**. მან გააკეთა უაღრესად საინტერესო და დამახასიათებელი ფილმი „ჯიმ შვანტე". ეს ფილმი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში როგორც ფოკუსში ისე მოიყარა ე. წ. მემარცხენე კინემატო-



ფერო კლუბის უკრაინელი დასის შემადგენლობა.

გრაფიის, როგორც უარყოფითმა ისე დადებითმა თვისებებმა.

თემის უბრალო შინაარსი: სვანეთს არა აქვს მარილი; სვანეთმა უნდა მიიღოს მარილი, ამისთვის გზა უნდა გაიხსნას სვანეთში: ამ ნანატრ გზას ხსნის საბჭოთა ხელისუფლება. ამ სპეციალურად იზოლირებულ თემის ფარგალში მოქმედობს სცენარის ავტორი. აქ რეჟისორულ შემოქმედების პირველ პლანზე გამოდის კადრი და მონტაჟი. კადრი: სვანეთის მკაცრი გარეგნობის; კადრი: სვანეთის სოციალურ-[illegible]; კადრები: ნახევრად პატრიარქალური ყოფის ატრიბუტების, სილოციური წმინდანების, სასიკვდილოდ განწირულ ცხენის და პორტრეტები მომლოდინე სახეების, რომელნიც გადასცქერიან კადრებს სადაც გაჰყავთ გზა სვანეთისკენ.

ეს კადრები უდიდესად ექსპრესიული კომპოზიციით არიან აღებული, ოსტატურად შეკრული მონტაჟი ფრაზების რიტმიული დენით უშუალო ატრაქციონულ ზემოქმედებას აღწევენ. მაგრამ, მართალია სურათი მაინც არ გამოვიდა, რადგან ამ პერიოდში ავტორის შემოქმედებითი მეთოდი ემყარებოდა „მემარცხენე" კინემატოგრაფის რაციონალისტურ პოზიციებს. იმის მიუხედავად, ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაში „ჯიმ-შუანტე" წარმოადგენს მაღალი კინემატოგრაფიული კულტურის მოვლენას, განსაკუთრებით კადრის და მონტაჟის დაუფლების დარგში.

ამ პერიოდის ფილმებს შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რეჟისორ **მ. გელოვანის** „ახალგაზრდობა იმარჯვებს". ეს ფილმი წარმოადგენს პირველ **ცდას** ქართულ კინემატოგრაფიაში კომედიურ ჟანრის შესაქმნელად. ფილმში — **სისხლის** აღების ადათის მატარებელი ნაციონალური ხასიათები მოქცეული იქნენ კომედიურ მდგომარეობებში და ეს კვანძი იხსნებოდა ახალი თემატიურ თვალთა-ხედვით. სურათი დიდი წარმატებით სარგებლობდა მაყურებელში, მიუხედავად იმისა, რომ თვით სურათის ოსტატობის დონე ძალიან დაბალ საფეხურზე იდგა.

ერთის მხრივ „მემარცხენე" ფრონტის ფორმალისტურმა ტენდენციებმა და მეორეს მხრივ „რაპ"-ის შეხედულებების გავლენებმა, თავისი უარყოფითი შედეგები შეიტანეს ქართულ კინემატოგრაფიაში, ამის შედეგად გამრავლდენ [illegible] სურათები, სადაც თანამედროვეობის პოლიტიკური იდეები ზერელე აგიტაციურ დონეს არ სცდილდებოდა. ამ სურათების შემოქმედებითი მეთოდი „მხოხავი ემპირიზმით" განისაზღვრებოდა.

პარტიის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ ახლად დაიწყო ქართული მხატვრული კინემატოგრაფიის აღორძინება. რეჟ. **მ. ჭიაურელის** ხმოვანი ფილმი „უკანასკნელი მასკარადი", აუცილებლად წარმოადგენს, ამ შემოქმედებით შემობრუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას. რეჟ. ჭიაურელის მიერ დასახული თემატიური ამოცანა, ეჩვენებინა: ბოლშევიკის ზრდა სამი ეპოქის გასწვრივ, მთლიანად ვერ იქნა დაძლეული. ფილმში ქართულ კინემატოგრაფიაში პირველად დაისვა ამოცანა ბოლშევიკი ადამიანის ისტორიული, მხატვრული ჩვენებისა: მაგრამ ვერ გადაჭრა. აქ გამომჟღავნდა ჭიაურელის, როგორც დრამატურგის სისუსტე: ეპიზოდების ერთიერთი აღრევის შედეგად, სურათის მთავარი გმირი დრამატურგიულად ათვისებული არ აღმოჩნდა. დიდი ოსტატობით გადაღებული ისტორიული ეპიზოდების სვლაში მთავარი გმირი დარჩა სიუჟეტური პარალელის ბრუნვის გარეშე. ფილმში, — თუ ფონის მოქმედება ჰქმნის დიდ შემოქმედებით დიაპაზონს, — პირიქით, გმირი მაყურებლის ემოციონალურ ყურადღების გარეშე დარჩა.

საინტერესო მოვლენას ქართულ კინემატოგრაფიაში წარმოადგენს რეჟ. **ს. დოლიძის** სურათი „უკანასკნელი ჯვაროსნები". სურათის თემა ეხებოდა: მეზობელ ხალხების, ხევსურების და ჩაჩნების ნაციონალურ შუღლის დაძლევას, კოლექტივიზაციის გზით. სურათი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ავტორმა სპეციფიურ ნაციონალურ მასალაზე სცადა გადაეწყვიტა ახალი სოციალისტური თემატიკა. აქ ავტორის წინაშე საინტერესო პრობლემა იდგა — ნაციონალური კინო-სტილის ძიებისა; — რადგან თვით კინო-კამერის წინ მოძრაობდა უშუალო გარეგანი ნიშნების მქონე ნაციონალური მასალა. სურათში ეს სტილისტიური განზრახვა აუცილებლად ჩანს, მაგრამ თვითონ სტილი არ გამოვიდა; თვითონ სურათის დრამატურგის სქემატიური განვითარების გამო. ფილმში, საჭიროა სიღრმით დრამატიზაციაქმნილი არ აღმოჩნდა. მასში მოქმედი ნაციონალური გმირების ხასიათები და მათი კონფლიქტი. ამიტომ გამოვიდა უფრო ეტნოგრაფიული ელემენტების (ხევსურული კოსტიუმი, გარეგანი ეგზოტი და სხვა) მოხერხებული სტილიზაცია. ეს ფილმი აუცილებლად შეიცავს კარგ ნაბიჯს წინ რეჟისორის შემოქმედებითი მუშაობაში.

ქართულ კინო პროდუქციაში კომედიურმა ჟანრმა სათანადო ადგილი დაიჭირა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევენ რეჟ. **ფალავანდიშვილის** სურათი „ჟუჟუნას მზითევი" და რეჟ. გ. მაკაროვის „ნახვამდის". „ჟუჟუნას მზითევი" აუცილებლად არის ცდა ქართულ კინემატოგრაფიაში **მსუბუქი** გროტესკული ტიპის კომედიის შექმნისა. რეჟ. **გ. მაკაროვის** სურათი **„ნახვამდის"** ხაზავს სატირულ კომედიის შექმნის კონტურებს, მიუხედავად, ზოგიერთი სცენარულად არა დამაჯერებელ სიტუაციებისა, სათანადო რეჟისორულ შესრულების გამო. ფილმი გამოვიდა ორიგანული და დამაჯერებელი.

ქართული კინემატოგრაფიის უკანასკნელი დროის პროდუქცია გვიჩვენებს შემოქმედებითი კადრების აუცილებელ ზრდას. ჩამოყალიბდენ გარკვეული პროფილის მქონე რეჟისორული ძალები. უფრო ნათელი გახდა ქართული კინემატოგრაფიის თემატიური საზღვრები, და სტილიური ძიების გზა. მოხდა ხმოვანი კინოს ტექნიკური და მხატვრული ათვისება.

მეორე ხუთწლედის ძლევამოსილმა მშენებლობამ და პარტიის მიერ დასმულ მთავარ ამოცანამ, — რათა საბოლოოდ აღმოვფხვრათ კაპიტალიზმის ნაშთები, როგორც ეკონომიკაში ისე ადამიანთა შეგნებაში, სულ ახალი ურთულესი ამოცანები დააყენა საბჭოთა კინემატოგრაფიის წინაშე.

საქართველოს კინემატოგრაფიის მშენებლობაში პირველ პლანზე დადგა კინო-დრამატურგის შექმნის საკითხი. სასცენო ხელოვნების გაძლიერების მიზნით ჩვენს დრამატურგთა რიგებს შეემატნენ ქართველი საბჭოთა მწერლები. ყურადღების ცენტრში დადგა ქართველ კინო-მსახიობთა შექმნის და შემოკრების საკითხი.

1935 წლის მიჯნაზე ქართული კინემატოგრაფია ემზადება ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებისაკენ.

# ქუთაისის სახელმწიფო თეატრში

**ვ. კირშონის.**

„სასამართლო“. დადგმა რეჟ. **ვახტ. აბაშიძის,** მხატვარი—**ქ. ქან-კვეტაძე.** მუსიკა **ა. ბალანჩივაძის.**

ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა 1934-35 წლის სეზონი ვ. კირშონის „სასამართლო“-თი გახსნა.

სარეცენზიო პიესაში მოცემულია გერმანია, ფაშისტურ გადატრიალებამდე — ქვეყანა ვეიმრის კონსტიტუციისა და სოციალ - დემოკრატიის თარეშისა.

კირშონმა „სასამართლო“-ში მოგვცა ოჯახი, სადაც დიდი იდეური შეურიგებლობაა მის წევრთა შორის. მამა, უფროსი ვაჟი და მისი ცოლი კომუნისტებია, უმცროსი შვილი კომკავშირელი, დედა კი — ღვთის მორწმუნე. იმდენად ღრმადაა გამჯდარი მასში რელიგიური შეხედულებანი, რომ იგი საკუთარი შვილის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას სასამართლოში პასტორის ჩაგონებით: ეს ოჯახური და ნათესავთშორის არსებული განხეთქილება გამოიყენა კირშონმა ფონად, რომ მასზე გაეშალა კლასობრივი ბრძოლა ყოველგვარი დათმობის გარეშე.

„სასამართლოს“ ტიპაჟში ყველაზე საინტერესო და ცენტრალური ფიგურა კლაუს მაურერია (მსახ. დ. ჯალაღანია). ავტორმა მისი სახით მოგვცა „სოციალ - დემოკრატიული პარტიის გავლენის ქვეშ მყოფი ქარხნის ძველი მუშა, რომელმაც ცხადათ დაინახა ამ ცრუ სოციალისტების მთელი სიზიზღრობა, პროფერობა, სიცრუე, თვალთმაქცობა, კავშირი პოლიციასთან და სხვა მრავალი პროვოკაციული მანევრი, რაც ასე უხვად შეიძლება იპოვნოს კაცმა სოციალ - დემოკრატიის საბრძოლო არსენალში. კლაუს მაურერი ბოლოს რწმუნდება, რომ მუშათა კლასისათვის ერთად ერთი სიმართლე აქ ქვეყნად მხოლოდ კომუნისტურ იდეებშია. ამ დასკვნებს მაურერი სასამართლოს სხდომაზე აქვეყნებს, სადაც იგი მოწმედ არის გამოძახებული როდოლფ კეტვიგის („მსახიობი ს. ზაქარიაძე). საბრალმდებლო პროცესზე როდოლფი კომუნისტია. გერმანიის პოლიცია მას სოციალ - დემოკრატიული პარტიისა და მათი პრესის აქტიური დახმარებით და მონაწილეობით შეუქმნა პროვოკაციული ბრალდება მკვლელობაში.

კირშონმა შეუბრალებლად გაამხილა კაპიტალისტურ ქვეყნის სასამართლოს უკეთურობა, მისი სპეკულიანტური ბუნება. აქ მართალი სარკაზმის მოლტად არის გამოყვანილი იმპერიალისტური ომის ინვალიდი კომუნისტი კარლ პერლ (მსახ. ჩ. ბუგაიშვილი). იგი დაუნდობლად ამათრახებს და დასცინის მოქრთამულ სასამართლოს. მაყურებელი მასთან ერთად იზიზღებს ცრუ სამართალს, მშრომელთა თვალის ამხვევ ჩინოვნიკური აპარატს. ძალიან კარგია მსახ. მიკვალიშვილი ამ როლში.

აღსანიშნავია პიესაზე რეჟისორისა და მხატვრის მუშაობის შედეგები. რეჟ. ვახტანგ აბაშიძემ ამ დადგმაში ორი თვალსაჩინო მიღწევა მოიპოვა. ერთი: პიესის რეალისტურ ხაზებში გაშლა, მსახიობის, ადამიანის, შემოქმედების მთავარ ფოკუსში მოქცევა; მეორე: ზუსტად და მაღალი კულტურით მიზანსცენების დამუშავება.

მხატვრის ნამუშევარი ორგანიულად გამომდინარეობს პიესის ძირეულ სწორად გაგებისაგან. სპექტაკლის დეკორატიული გაფორმება ქ. ქანკვეტაძეს ეკუთვნის. მხატვრის პიესის ტრაგიკულ გარემოსთან ახლოს შეხამებული თავისი კონსტრუქციით ხუთკუთხოვანი მასალისაგან აგებული კედლები, მათ შორის ფეირობის მსგავსად დატოვებული გასასვლელები ისეთსავე, მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც თავად პიესის სიუჟეტური მხარე.

იმპერიალიზმის თაღლითი ლაქია, მოშაქრული ენისა და ბინძური საქმების პატრონი რედაქტორი ზოლდტკე საკმაო ოსტატობით განსახიერა მსახ. ა. მერესიძემ.

კლაუს მაურერი პიესის ცენტრალური ფიგურაა. იგი მსახიობს მრავალფეროვან მასალას აძლევს სცენიური შემოქმედებისათვის. მსახ. დ. ჯალაღანიამ ძირითადში შესძლო ამ მასალის მოხმარება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი სცენის ძველი ვეტერანი ნინო ჩხეიძე ფრაუ კეტვიგის როლში.

კომკავშირული ენთუზიაზმი, თავდადება, გატაცება და ბრძოლის რომანტიკა კარგად გადმოგვცა ერიხის როლის შემსრულებელმა მსახ. ე. სირალიძემ.

საუცხოვოა მსახ. ფლ. ომიაძე უსინათლო ცილჰელმ კეტვიგის როლში. აღსანიშნავია მ. ქორელის (ბერტა) შ. ქავჟარაძის. (პილდა) და კ. აბესაძის (მოსამართლე) თამაში.

„სასამართლო“-ს დადგმით ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა გამოამჟღავნა უნარიანობა.

**პ. ბახტურიძე.**

◆★◆

შინაარსი

[illegible] მწერლებისაგან.
დ. [illegible] — [illegible]
[illegible] — ჩვენი სიმღერა (ლექსი).
შ. [illegible] — მხატვარი [illegible]
[illegible] — [illegible] ჯორჯიაშვილი.
რ. [illegible] — ახალი მატერიკი.
ა. [illegible] — [illegible] ცეცხლი (ლექსი).
ლ. ასათიანი — [illegible] ქალი თეკლე.
დ. რონდელი — ქართული კინემატოგრაფიის გზები.
პ. ბახტურიძე — კირშონის „სასამართლო“.

პ.-მგ. რედაქტორი ვ. მაჭავარიანი, სარედ. კოლეგია: ქ. ლორთქიფანიძე, გრ. მუშიშვილი, აკ. ფურნია, ლ. ასათიანი, ალ. სულავა.

ფასი 60 კაპ.



ქუთაისის პურის საცხობ ქარხნის უფროსი ბრიგადირი ამხ. ხურცია გამომცხვარი" თეთრი პურით

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68 ტირაჟი 2500. მთავლიტის რწმუნებული ა—56